,, კვალი''

X. ყოველკვირეული გაზეთი. X.

№. 35 კვირა, 25 აგვისტო 1902 წლისა. №. 35

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სამეიორნის ქუჩაზე, № . ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція. «КВАЛИ».

შინაარსი: უანგარო სიყვარული.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—დექსი, კ. გოგოლაძისა.—დეესი, მოთ. ანტ. ფრანსისა.—რეპეტიტორი, ჩუხოვისა.—რუსეთის ცხოვრება.—სამ დვარ-გარეთ.—მუსიკალური კონკურსი, სოციოლოგიური ეტიუდებიდან, დ. თ-ისა.—ახალი ზელანდია.—სამშობლოს ცაზე, რიგოლეტოსი.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ილ. ჭავჭავაძე და მისი მოუზია, ი. გომართელისა.—შეცდომის გასწორება.— განცხადებანი.—

,,კვალის'' რედაქცია გადავიდა სამეიორის ქუჩაზე, რეკასოვის სახლი № 35.

უანგარო სიყვარული.

იტალია და საფრანგეთის დამეგობრება, რასაკვირველია, უსარგებლოთ არ დარჩება ზოგიერთ სპეკულიატორებისათვის, რომლებმაც განიძრახეს ტურინის ბანკის ,,Banco sconto''ს შეერთება რომელიმე პარიჟელ ბანკთან. ამ გეგმის სისრულეში მოყვანა მიანდეს სამ პირს, რომელთა შორის ჩვენ ვხედავთ კარგათ ცნობილ მეცნიერ ეკონომისტს ბ. პანტალეონს, ავტორს ,,Pricipü di economia pura''. ბ. პანტალეონი სხვებთან ერთათ გაემგზავრა პარიჟში, მაგრამ ერთ უდიდეს დაწესებულება ,,Banque francaise''-ისგან უარი მიიღო, რის შემდეგ მან მიმართა უმნიშვნელო ,,Banque générale industrielle''-ს. ეს უკანასკვნელი შეუერთდა ტურინის ბანკს და დაირქვა ,,Société franco-talienne''. საზოგადოებას ძლიერ ცოტა ნდობა ჰქონდა ძველ ბანკთან და ახალი სახელით მონათლულ ბანკმაც ვერ მოიპოვა მეტი ნდობა. ხოლო მთელი იმედი ამ ახალი ბანკისა იყო დამყარებული იმ რწმენაზე, რომ მისი ,,პატრიოტული'' ხასიათი გაუადვილებდა მას საზოგადოების ჯიბის გაცალიერებას. იმედი გაუცრუვდა ,,Société franco-italienne''ს: მისი აკციები არ გასაღდა. იზარალა ამ შემთხვევაში იტალიელ ბანკმა და მოიგო საფრანგეთისამ. პირველმა ორი მილიონი ლირაზე (35 კ.) მეტი წაგო.

ამ საქმეში ბ. პანტალეონის მეთაურობა საზარელ შთაბეჭდილებას ახდენს არა მარტო იმათზე, ვინც მას იცნობდა და პატივს ცემდა, როგორც საგნის ღრმათ მცოდნე გულწრფელ მეცნიერს და კარგ ლექტორს; ბ. პანტალეონმა ორი წელიწადია მიატოვა კათედრა და გადავიდა პარლამენტში, სადაც მან დაიჭირა საპატიო ალაგი თავის ამხანაგ დეპუტატთა შორის. აი ამ ამხანაგებს და ამომრჩეველებს ყველაზე უფრო გაუცრუვა მან იმედი...

ბ. პანტალეონი არი წარმომადგენელი ,,ხრონიული'' ოპოზიციისა; ის ერთი მამამთავართაგანია სკოლისა იმ პოლიტიკურ ეკონომიაში, რომელსაც უწოდებენ ,,მათემათიკურს'' და რომელიც მომხრეა თავისუფალ კონკურენციისა. ეს სკოლა უარს ყოფს წარმოების და ვაჭრობის გაწესრიგებას სახელმწიფო ღონეებით. მათემათიკური სკოლის წარმომადგენელთა აზრით კანონმდებლობა არ უნდა შეერიოს ეკონომიურ ცხოვრებაში და არავითარი საზღვარი არ უნდა დაუდვას კერძო ინიციატივას და ინიციატორთა შორის ბრძოლას. ისინი არ არიან მომხრე მშრომელ ხალხის ინტერესების დაცვისა კაპიტალის წინაშე კანონმდებლობის საშუალებით; ისინი არიან წინააღმდეგი აგრეთვე იმისიც, რომ სახელმწიფომ იკისროს რამე ეკონომიური ფუნქციების ასრულება, მათი აზრით თავისუფალი კონკურენცია, ,,ეკონომიურ ძალთა შორის ბრძოლა'' სახელმწიფოს დაუხმარებლათ დამყარებს დედამიწაზე კეთილ-დღეობას, ,,экономическое равновѣсіе''-ს.

სხვა-და-სხვა ამბები.

წარსულ კვირას კუკიის სასაფლაოზე მიწას მიაბარეს განსვენებული მწერალი-დრამატურგი ავქსენტი ა. ცაგარელი. დასაფლავებას დიდ ძალი ხალხი დაესწრო.

გარდაცვალებულის ქვრივს მრავალი დეპეშები მოუვიდა სხვა და სხვა დაბა-სოფლებიდან.

ჭიათურიდან გვწერენ: 5 აგვისტოს შავი ქვის მწარმოებელთა საბჭოს კანცელარიაში ქ. ქუთაისში გაიგზავნა 120 მრეწველიდან ხელმოწერილი განცხადება, რომლითაც ისინი საბჭოს კანცელარიის ჭიათურაში გადმოტანას თხოულობდენ, როგორც დადგენილი იყო მესამე მორიგ კრებაზე და გარდა ამისა—აღძრან შუამდგომლობა სათანადო მთავრობასთან, რათა მეოთხე მორიგი კრება ჭიათურაში მოხდეს; თხოულობენ აგრეთვე, რომ ყოველივე ანგარიშები ამ ორი წლის საბჭოს მოქმედებისა ამ მოკლე დროში გამოქვეყნდეს. პირველის შესრულება ხომ არ უნდა და არა საბჭოს ეს ორი წელიწადი გადის, ვნახოთ როგორ შეასრულებს მეორე და მესამე კითხვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორესპონდენციები.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. იმერეთის ეოველ კუთხიდან ისმის ნოქართა გაწუწვეტელი ჩივილი; ოზუოგეოელმა ნოქრებმა თავის „სიზეინებს“ ქალაქის თავთან უჩივლეს: ასე და ასეა, ბატონო ჩვენი სიქმე, გაგვიზარდა კვირიდან კვირამდე ერთ ადგილას ფეხზე დგომა, მოგვწყინდა არშინის ტრიალი და ჩოთქის ჩხარუნი; მოიღეთ მოწყალეობა და დაადგინეთ წესი, რომეოუ დღე იგი მეშვიდე წმიდა ვეოთ და მოკლე არშინითა და ყალბი სასწორითა არ შეურცხეოთო, მაგრამ ასეთი არ შეურცხეოთვის თხოვნა ბ. ოზურგეთის მოურავმა საბჭოს შეურცხეოფთან მიიღო და რაღაც კანონის ძალით, რომელსაც ჩვენ აზრის სიმარტივისთვის „კაჭარ ხმოსნებს ვერ კაწუნიანებთ“ ვუწოდოთ, ნოქართა კანონიერი თხოვნა უკანონოთ ჩათვალა და დავიწყების კალთისკენ გაისტუმრა.

ოზურგეთელი კაჭრები ხომ არ უქმობენ და არა მეშვიდე დღეს, მაგრამ ფოთელ კაჭრებსაც ერთობ ახირებული უქმობა სცოდნიათ. ვვარა უქმე დღეს წესისამებრ თუმცა დაკეტვენ დუქნებს, მაგრამ სამწუხაროთ არც ერთ შიგ მეოფე ნოქარს გარეთ არ გამოუშვებენ. აქ ბრძანებოდე შენო. მართალია მე—როგორც ხმოსანმა ქალაქის მოურავს სათრი ვერ გაუტეხე და გაგანთავისუფლე კვირა უქმე დღეს, მაგრამ მევე, როგორც „სიზეინი“ ნებას არ გაძლევ დუქანს მოშორდე; გესმის? აქ აიტუზე კარების უკან; კარები მისურე, თითქოს დაკეტილია და გაფაციცებით იცქირე მუშტარი არ გაგეპარეს, თორემ ხომ იცი!? „ხომ იცის“ პოლიტიკას ადგანს ხონელი კაჭრებიც. დარწმუნებული რომ იეოს ხონელი მეტარნე კაჭარი, რომ შურა'ს ტარანსაც ვერ გაეიდის, ის მ.ინც შეაღამემდის დუქანს არ დაკეტავს, ნოქრის დასვენება ხომ ისეთივე წარმოუდგენელია ხონელი კაჭრისთვის, როგორც ქუთათურ „მამებისათვის“ თეთალისის ქუჩის წუმპის ამოშრობა ან და საკუთარ ჯიბის ინტერესების საერთო ქალაქის ინტერესებისაგან გარჩევა...

თუმცა ქუთათურ „მამების“ „სასარგებლოთ, როგორც „ინტელიგენტთა“ ერებულისა—შეიძლება ითქვას, რომ იმათ ადრე თუ არა ორი წლის წინათ, შემდგომ რამდენიმე თხოვნისა და მუდარისა, გადწყვეტისა და უარეოფისა, როგორც იქნა ქუთათურ დიდი ხნით მოლოდინე ნოქრებს მიანიჭეს კვირა-უქმობით ფორმალური თავისუფლება ნაშუადღევის სამი საათიდან მთელი.. ორშაბათ დილის ექვს საათამდის, მაგრამ სრულდება თუ არა ქუთათურ „მამების“ მიერ მოწყალებათ მოღებული კვირა უქმობაით ნოქართა ნაშუადღევის განთავისუფლება? ძლიერ ნაკლებათ. ფოთური ხერხი ქუთათურ კაჭრებმაც იციან. იმათაც უყვთ კარების უკან ამოტუზული ნოქარი მუშტართა სათვალთვალოთ. თუ ანთავისუფლებენ ნოქრებს ისევ ქალაქის ცენტრში მოკაჭრენი, ბულვარის გარშემო. დანარჩენები ან სრულიათ არ კეტავენ ან და ფოთურთ. ხონურათ ღამის თორმეტ საათამდის ყურეუტი ხომ ეველასათვის საკვლდებულოა, აქ არც ბულვარის მეზობელი კაჭრები უტესენ ხონელ მეტარნეებს სათრს. ნოქარი რაც უნდა იეოს კიდეკ ფეხზე დგას, მოძრაობაშია. ამას გარდა ადრე თუ გვიან თვითონაც ლამის „სიზეინობას“ და იმიტომ იმდენათ არაფერათ აგდებს თავის შეწუხებას (განსაკუთრებით ეფრონსები) რამდენათაც იმავე საკაჭრო მადაზიებში მოსამსახურე პიერები—კასიერები და ბუღგალტერები. მათი საამსახური (ქუთაისში ძაინც) ეს ხომ ჯდომაა, ჯდომა ერთ ადგილას დილის შვიდი საათიდან ღამის თერთმეტ საათამდის ჯდომა, რომელსაც ადრე თუ გვიან ადამიანის დასახიჩრება მოყვება თან. და მერე იცით რას იღებენ ესენი თავიანთ 15 საათის შრომისთვის? რას და 25, 30, 40 მანეთს თვეში. ესენ, არავითარ დაწესებულებაში ინტელიგენტური შრომა ისე აეტანელი და თანც დაუფასებელი არ არის, როგორც ქუთათურ კერძო კაჭრებთან. რამდენათაც კაჭრული წეს-რიგი ჩვენ დასავლეთულ ქალაქის კაჭრების ჯერაც ვერ შეუგნიათ და 7—8 საათის მაგიერ 15 - 16 საშუალ კაჭრობენ, იმდენათ მათი მოსამსახურე პირთა ჯანაც აუტანელი, ადამიანის გამაბერუტეველია. მარტო ჩოთქის თუთხმეტ საათს რაჩხუნი გამოაჩერჩეტებს კაცს, სხვა რომ არა იეოს რა, და თუ ამას მოუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ აქაური კაჭარი ერთსა და იმავე დროს ეოველის ფერის მატყლის ადვილი წარმოსასგენი იქნება თუ რას ნიშნავს. [illegible] საამსახური.

Parole.

P. S.

„კვალის“ წარსულ №-ი მოთავსებულ კორესპონდენციაში ქუთაისის საბჭოს 7 მარ. სხდომის შესახებ ბ. ნ. ჯიჯინაძის სიტყვის მეორე ნახევარში შეცდომით ვამბობთ: „რასაკვირველია ასეთ მოქმედებას კონტრაგენტისას ერთი მხრით ხელს შეუწყობს ის გარემოებაც, რომ ხსენებულ ამხანაგობის სათავეში დგას ჩვენი ქალაქის ხმოსანი ბ. ზდანოვიჩი“. უნდა იეოს: რასაკვირველია კონტრაგენტის ასეთ მოქმედებას ვერც იმან [illegible] ბოლო და საქმემ წინ ვერ წაწია, (ქალაქისთვის სასურველათ) რომ ხსენებულ ამხანაგობის საქმეებში მონაწილეობა მიიღო ხმოსანმა ბ. ზდანოვიჩმა. კომისიის არჩევანში—ჩვენ ვამბობთ „უკანასკნელი აზრი გავიდათქო“ უნდა იეოს: გავიდა თავმჯდომარის აზრი

Parole

—

Ქ. ᲒᲐᲗᲝᲛᲘ. მოახლოვდა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნების დრო (არჩევნები უნდა მოხდეს 10 ნოემბერს) და ქალაქის გამგეობამაც გამოაქვეყნა ზირველი სია ამომრჩეველებისა. ამ სიით ამომრჩეველთა რიცხვი 774-ა. ეს რიცხვი, რასაკვირველი, საბოლოო რიცხვად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან ამომრჩეველთა სიაში როგორც ზირველთა გამოტოვებულები, შეიძლება შეეპარათ შეცდომები, მაგ., როგორც კვეგეთ, რამდენიმე ამომრჩეველი გამორჩენიათ; ამის გარდა მოსალოდნელია, რომ ბევრმა ისეთმა ზირებმა, რომლებსაც „ნედოიმეკები“ არ შეუტანიათ, ახლა შეიტანონ, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არ დაეკარგოთ. ერთი სიტუვით., შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამომრჩეველთა რიცხვი 8000 ნაკლები არ იქნება.

ზირველი სიით ამომრჩეველთა რიცხვში 342 ქართველია (ამ რიცხვში შედის მაგმადიან ქართველნიც), 198 სომეხი, 160 რუსი, ბოლშელი და ნემცები (ამ რიცხვს ვათვლით ზოგიერთ დაწესებულებათა ხმებსაც) 74 ბერძენი. არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ ნოემბრამდის რანაირი კომბინაცია მოხდება. მოხდება შეთანხმება, თუ შეტაკება. სინამდვილესთან უფრო ახლო ვიქნებით, თუ ვიტეოთ, რომ შეტაკება ვერ არის თავიდან ასე ადვილათ ასაცილებელი. როგორც ვხედავთ, უმთავრეს ძალას შეადგენენ ქართველები და სომხები; დანარჩენი ძალებიც ამ ორ უმთავრეს ძალაში დანაწილდება. თუ რომ განხეთქილება ქართველებში არ მოხდება (და როგორც ვატეობთ, ეს არ უნდა მოხდეს) და ბერძნები ძველებურათ ქართველებს დაუჭერენ მხარს, მაშინ გამარჯვება ქართველებს დარჩებათ. ცხადზე უცხადესია, რომ ბალმი, ის ბალმი, რომელსაც 1898 წელს ტენზი ქრეველებმა უშოვეს და ქართველებმავე გაიეანეს დიდის უმრავლესობით და „ვაშას“ ძახილით,—დღეს ქართველების მტერია და ეოველ დონის ძიებას ხმარობს, რომ ქართველები დამარცხდენ. ადვილი მისახვედრია, რომ ბალმი იქნება მოპირდაპირეთა წინამძღოლი.

ჯერ-ჯერობით პარტიებში არაფერი ჩამი-ჩუმი არ არის, მხოლოთ ბალმმა უკვე გამოეო თავი, თვის სახელოვან გაზეთში. მან ტენდენციურათ ერთი კაი დიდი სიტრუე მოჩმახა. ქართველების ამომრჩეველთა რიცხვი 207-ათ გვაუწეა! და თან დასძინა, რომ მე მადაპარაკების სიმართლე, ქალაქის ინტერესებია!.. ცხადია, რომ მას ადაპარაკების ბრალი, თვარა ქართველების ამომრჩეველთა რიცხვის გადასხვაფერება რით მოუტანს სარგებლობას მას, ან და ქართველებს—ზიანს!.

ᲞᲐᲢᲝ.

—

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (ქუთაისის მაზ.) მკითხველებს ეხსომებათ თუ რამდენი ჭაპან-წუვეტა და ბაქიბუქი გაქონდათ აქაურს ახალ-გაზ-

დობას აქაურსაკე სულთ მობრძავ სამკითხველოს შესახებ, რომ ცოტაც არის შეემაგრებინათ მისი სიცოცხლე. როგორც ყველას მოგეხსენებათ, ჩვენ გაწირვებულ მდგომარეობაში შევიდა შავი ქვის მრეწველთა საბჭო და დაგვიარსა წიგნთ-საცავ-სამკითხველო. და ბლომათაც გადაიხადა ფული მის მართვა-გამგეობისათვის, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ეს დანიშნულება ვერათერად აღწევს თავის მიზანს, რადგანაც არავითარი წარმატება არ ეტეობა წიგნთ-საცავ-სამკითხველოს იმის გარდა, რომ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგეს წინანდელი სამი თუმანი თვიური ჯამაგირი ხუთ თუმნათ შეუცვალა და მე მგონია მარტო ეს ვერათერი დიარ შესანიშნავი ნაბიჯია.—

გარდა ამისა საჭიროა, რომ ჭიათურაში მუშა მკითხველები დღითი დღე მატულობს; სამკითხველოში წიგნების ნატამალიც არ არის, გარდა ორიოდ წიგნებისა, რომელიც ძველი ბიბლიოთეკის ინვენტარიდან გადაუცა ერთათ, მერმედ თუ მოაკლდა ამ წიგნებს, თორემ მომატებით არაფერი მომატებია, რის გამოც მკითხველი უკანვე ბრუნდება გულ დაწყვეტილი, რომ არ შეუძლიან წასაკითხავი წიგნების შოვნა.

ნუ თუ სამი წლის განმავლობაში არ შეიძლებდა წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასურველ ნიადაგზე დაყენება, იმ ფულებით, რომელიც ამ საგანზე იხარჯება? მაგრამ მოგეხსენებათ, რომ უჭკო თავით ფეხებს მეტი ძალა ადგებოთ და, უთავო კაცებით კიდევ ჩვენი საბჭოს ორიოდე გროში ნახევარზე მეტი უსარგებლოთ იხარჯება და ოდნავათაც ვერ აღწევს თავის დანიშნულებას.

აგრეთვე არ შეგვიძლიან არ უსაყვედუროთ ამ (ვითომ და წიგნთ-საცავ-სამკითხველოს) გამგეს თავისი უყურადღებობა საქმისადმი, მე მგონია სამკითხველოს გამგეობას მარტო ის არ შეადგენს, რომ ჯამაგირები იღოთ, მხარ-თაქოზე წამოწოდებმა იძინოთ; გამგეს ბირდაბირი მოვალეობაა, ყოველივე საჭიროებს იმ საქმისა, რომელსაც განაგებს ის, აუწყოს დაწვრილებით ვისაც ჯერ არს; დარწმუნებული ვარ, რომ ბატონ გამგეს საქმეზე მეტი მეცადინობა შესწევდეს, ეს საქმეამოდენ ხანს საუურველთ დაბოლოებოდა კიდეც, თორემ რას უნდა გავდეს ეს, რომ ჭიათურაში ბეირიან საკითხავ წიგნს ვერ იშოვით, აქ წიგნის საყიდრო მადაზია არ არის და სამკითხველოში, როგორც მოგეხსენებათ გარდ ეკონომ-გაზეთებისა არ არის და არა.

ა. კოპიძე.

—

მარშინი (შვეიცარია) ერთი პატარა სოფელია; ის არამც თუ არ ჯობს მის შორი ახლო მდებარე სოფლებს, ჩამოუვარდება ადგილ მათ. ბირველი შეხედვით პატარა დაბას მოგაგონებთ. სახლები ქვითკირისა ზოგი ერთ სართულიანია, უფრო ხშირათ ორი და ხან მეტიანიც. სოფელში მიუხედავათ იმისა რომ ერთ ბოლოდამ მეორემდე 300 ნაბიჯიც არ იქნება, ექვს ადგილს გადმოდის მიდებათ გამოუვანილი წყარო წყალი, ფარდულების ქვეშ, ქვის რიფებში. სოფელში ორ სართულიანი დამაზი შენობა სკოლისა პატარა ბაღით, ბოსტნით, საევანგელეო და საფუთკრეთი, ეკლესია დიდი მრეკვალი საათით და უზარმაზარი ცაცხვით. ფოსტ, ტელეგრაფი, ტელეფონი, სასტუმრო, საკვე, ფურნე და ორი საწვრილმანო დუქანი, სადაც ყველაფერი იყიდება იმავე ფასში, როგორც ქალაქში. ფოსტა აქ მიდის და მოდის დღეში სამჯერ. მარშინს ელექტრონის რკინის გზა ხუთი ვერსის მანძილზე ჩაუვლია. სოფელი გარშემორტყმულია საოიბებით და ყანებით, უფრო მადა კი იწყებს გაუთავებელი ტყე: ფიჭვი, ნაძვი, წიფელა და სხვ. ტყეში როგორც სოფელში საფოსტო გზებია დაგეთებული, ტალახი ან ორმოები გზებზე აქ უცნობი საგანია. ნეტა ასეთი გზები თბილისში იყოს! აქ ტეე ტეესა გავს და ვედი ველს, წყლისაგან ოხრებულ მიწებს მიუხედავათ იმისა რომ მთა გორიანი ადგია, ვერსად ვერ ნახავთ. ხე-ტეეს სჭრიან ისეთ რიგზე, როგორსაც მოითხოვს საუკეთესო და სარგებლიანი ექსპლუატაცია. ტეეში საუცხოო მადალი მთის ბალახია, მაგრამ საქონელი შიგ ვერ გაიდის მთების გარდა, რადგანაც საძოვარი ცალკე ტეიან ადგილს იმდენი აქვთ რამდენიც საჭიროდა ხელია. რატომ ეს? იმიტომ რომ ტეე და საძოვარი აქ კერძო საკუთრებას არ შეადგენს და ნაკუწ-ნაკუწათ არ არის ქცეული. ისინი არიან საკუთრება მთელი სოფლისა, მთელი საზოგადოების, რომელიც მათ განაგებს. არ შეიძლება ტეეების ან საძოვრის არც გაყიდვა არც დაპოვა. მოჭრილ ტეეს, რაც ცხოვრებლებს არ საჭიროებათ, ყიდიან და აღებულ ფულს საზოგადო საქმეებს ახმარებენ. საძოვარს სოფელი აძლევს იჯარით. მოჯარადრე აგეთებს მთაში ყველს და ერბოს და ჭყიდის. ის ვალდებულია მისცეს თითოეულ კომლს წელიწადში ერთხელ 35 გირვანქა ერბო, ერთი ფუთი ყველი და საზოგადოებას 1500 მანეთი. ამ ნაირათ თითო კომლი იღებს ოთველ წლივ ოციოდე თუმნის სარგებელს (ხე-ტეით, შეშით და ფიჩხით, ყველით და ერბოთი). საძოვრები დაუოფილია ქვის კედლებით ოთხკუთხედებათ, იმიტომ, რომ მწყემსს ნახირი ტეეში არ გაებინას. დღეს რომ ერთ ოთხკუთხედში აძოვებს საქონელს, ხვალ მეორეში და ასე შემდეგ. ბირად საკუთრებას აქ შეადგენს სახნავ-სათიბები. ყველასა ეავს თითო (ზოგს მეტი) ცხენი, ძროხა უღელი ხარი. საქონელი ერთობ ზორბა და დინიერია. ერთი წლის მოზვერს ან ხბოს 15—20 თუმნათ ყიდიან. ცხენს, რომელიც არტილერიაში ადვილათ გამოდგება, მძიმე სამუშაოში ანამენ და სამოგზავრო კი ძალიან ხშირათ ველოსიპედები აქვთ ან ფაეტონი. ბურს ლეწავენ საზოგადო ორთქლის მდეწავი მანქანით. მიწის სამუშაო მანქანები თითქმის ყველასა აქვს. დღესასწაული აქაურების კვირაა და ერთი ორი კიდევ სხვა წლის განმავლობაში. დღეობაში ან გასვენებაში ფული, ღვინო და ბური არ იხარჯება და არ ოხრდება და თავბირს ერთმანეთს არ ამტრევენ. თუ ვინმე ავათ გახდება, მკითხავს არ დაუძახებენ, არამედ იმავე წამს მოიწვევენ ტელეფონით ექიმს, რომელიც ნახევარ საათში ველოსიპედით ავათმყოფთან გაჩნდება. ყოველ გვარი ტრუმორწმუნეობა აქ ისეა ადმოფხრილი, როგორც შენი ხელის გულზე ბალანი არაა, მკითხველო. კიდევ განვაგრძობდი, მაგრამ ვხედავ რომ მკითხველი ეძებს, სად უნდა იყოს ეს სოფელიო? უკანასკნელთ, დამავიწყდა თავში მეთქვა, რომ ეს სოფელი შვეიცარიაშია Vaud-ის კანტონში.

N.

—

ძ. თელავი. რადგანაც წელს ბურის მოსავალს კარგი ბირი უჩანდა დაიმეო თუ არა ეანები მუშა ხალხისაგან ხშირათ გაიგონებდა კაცი, რომ ასეთი კარგი მოსავალია და ბურს კი ისევ იმ ფასათა ვეიდულობთ, როგორც ზამთარშიო. არ ვიცი თელავის ბატონ-მამებმა გაიგონეს მათი დადადი, თუ განგებამ მიახვედინა, რომ წელს კარგი მოსავალია და გარჩევა უნდა ქონდეს როგორც ავსა და კარგს, ისე ზამთარსა და ზაფხულს, მხოლოთ ბურის ნიხრს კი ეეელა ხარისხისას ნახევარ-ნახევარ კაბეიკი მოაკლეს. მებურეებმა ახალი ნიხრის გამოტხადების შემდეგ ჯერ სამი დღე ბური არ აცხვეს თავიანთი მიცემული ხელწერილის ძალით, მერე ისევ ითხოვეს ნება და ბურის ცხობა დაიწყეს, მაგრამ ტოტ-ტოტა გაუშვეს და ისევ ისე დაუწყეს ეიდვა; მაგ. ფუთ შვიდ აბაზიან ბურს როგორც წინეთა ეიდდენ ახლაც ისევ ეიდიან იგეთისავე. ამასთან ეიდიან გამოუშრობელს და ტომსა და ამას საჭიროა ჩვენმა მამინაცვლებმა ეურადღება მიაქციონ. ამასთან ორიოდე სიტეეით უნდა შეეეხო „ცნობ. ფურც“. კორესპონდენტის ბ. ნადიკვრელის წერილს („ცნ. ფ.“ № 1882) რომელშიაც ნათქვამია, რომ მამასახლისის ბრძანებით მებურის დუქნიდან გამოიტანეს 13 ტომარა ფქვილი, სხვასაც ასე მოუქცენია... ეს ამბავი სრულებით სხვანაირათ იყო და არა ისე როგორც იგი მოგვითხრობს. მებურეებს ფქვილი ქონდათ ნისიად წამოღებული მეფქვილეებისაგან, რომლის ნაწილი ჯე-

რეთ გამოუცხობელი იყო. რა გაიგეს მეფქვილეებმა მეპურეები პურს ადარ აცხობენ და დუქნები დაკეტესო ერთი მათგანი მივიდა ცხენის ურმით ერთ მეპურესთან, გამოატანინა თავისი ფქვილი მუშას დუქნიდან, დაუდო ურემზე და ისევ უკან წაიღო. მამასახლისი თათუზოვი და ბოქაული შემოხვეეთ იმ ქუჩაზე შეესწრენ. რადგანაც იმ დუქნის გვერდზე მეპურეები პურს აცხობენ ახალ ნიხრზე და იმათ დასათვალიერებლათ გამოსულიყვენ. მხოლოთ მეპურე იმერლებმა თხოვნა მიართვეს არა მამასახლისს, როგორც იგი სწერს არამედ მაზრის უფროსს, რომელმაც მის თანხმობით ნება დართო პურის ცხობაზე.

გორის-ძირელი.

—

ᲡᲝᲤ. ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ (ქუთაისის მაზ.) 13 ამ თვეს პროფ. პეტრიაშვილი ორ ახალგაზდასთან ერთად, რომელთა წინადადებას წყალტუბოს წყლების დათვალიერებას,—იგი სიამოვნებით დასთანხმდა, ეტლით გაგემგზავრეთ ქუთაისიდან. გავსტილდით თუ არა ქუთაის, ბანოჯის პირში შეუდექით თავ-ბედისწყვედ გზაზე სიარულს. ესაა წყალტუბოს მიმავალი სასოფლო გზა, რომელზედაც, ისეთი განუწყვეტელი მოძრაობაა, რომ მას ოკეანეწყალიწადს ბუდიგი შემგეობელ-მზრუნველი ეყოდეს, მაშინაც თუ დერეფა ტოტათ თუ ბეგრათ კეთილგანწყობილ მიმოსვლის საშველების საბალი.

დღეს კერას ვსედავთ იქ. ერთსულ ოდესმე, რასაკვირველია, სოფლელთა ოფლის ღვრით, გაუჭრიათ ორ საყენიანი გზა, ფორმისათვის იქით-აქეთ კიდეებზე ღარებიც ამოუღიათ, ფორმისთვის მოუყრიათ ზედ, კითომ და ტალახი რომ არ დადგეს, უშველებელ-უშველებელი ქვის ლოდები, რათა ამისათვისაც მოკეცილი გზის (შარის) სახელი მეთვისებიათ, და აი ამისთვის დაურქმევიათ წყალტუბოს გზა. ნამდვილათ კი გინდ ამ გზაზედ კიეღლიათ და გინდ ძალიან აღელვებულ ზღვაში გემზე მჯდარხარ, მხოლოთ გემი მით ჯობია, რომ თუ არ დაიღუბა წყალში გადაკარდნის შიში მაინც არ გაქვს, თუნდაც გარეთ პალუბაზე იჯდე, წყალტუბოს გზაზე კი ოკეან ფეხის ნაბიჯზე იმის შიშში ხართ: აი ან აგერ წაგეჭრეკა ეტლი, ან აგერო ისე დოღრო-ჩოღრობულია გზები თუ კლდიან ფერდობების და თუ ლოდი ქვების მოკირწყვლის გამო. ავთმოფოფების ურმებით მოსიარულეებზე, რომელებსაც ამ გზაზე უმრავლესობა შეადგენს, რაღა ითქმის. იმათ ტოტათი ეტლებზე უფრო ნელი სიარული რომ არ შეეღოდეთ, მეგზნოების წყალტუბოს ჩასვლა საეჭვო იქნებოდა. და ამ შემთხვევაში ჩვენ ის გარემოება გვაკვირვებს, რომ ამ აბანოების მომსვლელთა რიცხვი როდი აკლდება, ოკეანეწლიდ ემატება, მიუხედავთ ამგვარ უსიამოვნებათა.

ამ გზის დღევანდელ მდგომარეობას იმდენათ შეუხებული ყავს როგორც ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი, ისე შორიდან მისულები, რომ მისს უკარგისობას, კისაც კი მაზედ ფესი დაუდგამს, ყველანი შამოგჩიოლებენ.

როგორც იქნა ორი საათის ეტლში ჯანჯალ-ჯანჯალით ჩვენ მეცნიერ სტუმრიანთ მივედით წყალტუბოს აბანოზე. რამოდენიმე წუთის დასვენების შემდეგ, პროფესორი შეუდგა წყლების დათვალიერებას ადგილობრივ მეპატრონეების—ოსელიანების ჩვენებით. რასაკვირველია, პროფესორს, როგორც ქიმიკოსს უმთავრესათ წყლების შემადგენელი ნაწილების თვისება აინტერესებდა და არა ჰიგიენური მოწყობილება. როგორსაც დღეანდელ პირობებში წყალტუბოს აბანოები წარმოადგენენ.

პროფესორმა დაიარა ყველა წყაროები და ტბები, რომელებიც დღეს სალხი რაიმე ავთმოფოფობისათვის სარგებლობს. გასინჯა ისინი ორნაირი ტერმომეტრიაა და თუმცა მას გაზის გასასინჯი სელსაწყოები თან არ დასწრო, მაინც კიდე ჭიქაში გაზის მოგროვებით და სინჯის მოკიდებით გაიგო კარაუდით მათი რაოდენობა საბანაო წყლებში. გამოკითხა მან მეპატრონეებს თითეულ წყაროს შესახებ ცნობები და ამოიღო საჭირო გაფთხილებით ყველა გასასინჯ წყაროებიდან სამსამ-ოთოთხი ბოთლი (სულ 30-დე) წაიღო. მას, კარდა საბანაოებელ [illegible] წყლების სიმეშებიც მიაქვს, რომელებიც ინგლისში [illegible] მარეგლობის მინდობილებით 1898—99 წწ სტრუვეს და სხვ. არ გამოუკვლევიათ. ამგვარათ ფოსილ პროფესორს დიდძალი ნამუშები მიაქვს აღნიშნული წყლებისა და ეჭვი არა ჩვენი გამოცდილი პროფესორის გამოკვლევა უფრო დასანდობი და საიმედო იქნება, ვიდრე თვითონ თავიანთ დაუთვალიერებელ ჩინოვნიკურ მკვლევარებისა, რომელთაც, როგორც ვთქვით ადგილობრივიათ არც კი უნახავთ ეს წყლები.

ჩვენი თანამემამულე პროფ. პეტრიაშვილი კი, როგორც გვითხრა, წრეკანდელი გამოკვლევითაც არ დაკმაყოფილდება და საგანგებოთაც. უფრო მოსურნეობულ პირობებში ეწვევა წყალტუბოს თვისს ახლანდელ გამოკვლევის შესამოწმებლათ და შესაკუნებლად. ამნაირად მისი სიტყვა აღნიშნულ წყლების გამოკვლევაში დარჩება ავტორიტეტული. მხოლოთ მერე საჭირო იქნება მის ქიმიურ ანალიზზე დამყარებული მეცნიერ ექიმების აზრი ამ წყლების ადამიანის სხეულზე გავლენის აღსანუსხავად. საჭირო იქნება გაგება იმისა, თუ რა და რა გვარ ავათმოფოფობის უსდება ეს წყლები და რა გვარი ბალნეოლოგიური (მინერალური წყლებით სამკურნალო) დაიშნულება მიცემა მას.

ამ წყლებს დღეს სალხი ბეკრნაირ ავთმოფოფობის წინააღმდეგ ხმარობს. ტრადიციულათ, მის გონია, რომ იგი ყოველგვარ ავთმოფოფობის სამკურნალოა და ხელმოკლე სოფლის სალხი ყველა ქიოფკეს მიეშურება. ამიტომ საჭიროა ერთსულ და სამუდამოთ გამოარკვიონ მეცნიერების წარმომადგენლებმა მათი კეთილი გავლენა მაგვარ ავთმოფოფობისათვის საჭირო და სარგო. ამგვარათ დღეს მაინც დაუდგენ სალხის ამგვარ უზომო რწმენას მეცნიერული საბუთი და მოაწესრიგონ იმათი სარგებლობა. აი ამ გვარ სამკურნალო საკითხის გადაწყვეტას უნდა დაედგეს საფუძვლათ ქიმიკოს-ბოტანიკოსის 13 აგვისტოს მოგზაურობა წყალტუბოში და შემდეგ ამის ანალიზისა, უეჭველია ქუთაისის ექიმებიც თავს მოიფხანენ, თუ კი ეს, რა თქმა უნდა, მათთვის სელსაყრელი იქნება და მოაქტებულ უურადღებას მიაქცევენ მათ თავლისწინ მდებარე წყალტუბოს აბანოების სამკურნალო წყლებს. მაშ ველოდეთ პროფესორ პეტრიაშვილის უკანასკნელ სიტყვას ამ წყლებზე.

პროფესორს თან მიაქვს გასაშინჯათ რამდენიმე ბოთლი ს. ორხევთის ღელე რიდვის პირში გამომავალ მინერალური წყლისა და აგრეთვე გუმათისა.

პროფესორი დიდის სიამოვნებით ღებულობს თავის თავზე ოკეანეგვარ ჩვენებურ მინერალურ წყლების და მადნეულების ანალიზს, თუ კი ჯერ ოდესაში გაუგზავნიან და მერე, ქუთაისში ქიმიური ლაბორატორია დაარსდა, ამგვარ მინდობილებას აქ შეასრულებს.

ისო.

---

*
* *

სამუდამო თანამგზავრო,
ჩემო ჩანგო, ჩემო ქნარო,
ჭირში, ლხინში განუყრელო,
უტყუარო მეგობარო,
ჩემ სიცოცხლის წმინდა ხატის,
სანუგეშო, საყვარელო,
ჩემთან ერთათ სიხარულის,
სიტკბოების ვერ მნახველო,—

დაე, კვნესდეს ჩვენი გული,
დაიწუროს იგი ცრემლათ,
მტლათ დაედოს ჩვენს იდეალს,
შეეწიროს წმინდა მსხვერპლათ,
თუ რომ ამით ოდნავ მაინც
გზას გაუწმენდს დიადს საქმეს
და შეაშრობს ერთს ცრემლს მაინც
უნუგეშო მტირალ თვალებს;
თუ რომ ამით ტანჯულსა გულს
შეუკეთებს წმინდა ალსა,
ბნელში სხივებს დააკვესებს,
დაანახვებს მომავალსა!
მაშ, ნუ დაგვძლევს მწუხარება,
ჩემო ჩანგო, ჩემო ქნარო,
ჭირს და ლხინში განუყრელო,
უტყუარო მეგობარო!...

კ. გოგოლაძე.

ᲓᲔᲯᲔᲡᲘ.

(ანატოლი ფრანსისა).

ელისაბედ დედოფლის დროს ლონდონში სცხოვრობდა ვინმე მეცნიერი ბოგი. ეძახოდნენ მას ბოგუსს და ცნობილი იყო, როგორც შესანიშნავი თხზულების დამწერი შესახებ ადამიანის შეცდომებისა. ეს თხზულება არ ენახა არავის.

ბოგუსი მუშაობდა ამ თხზულებებზე ოცი წელიწადი, მაგრამ ჯერ ერთი სტრიქონიც კი არ დაებეჭდნა. ხელთნაწერი შესდგებოდა ათ ფოლიანტიდან და იდვა ის ფანჯრის ახლო, თაროზე. პირველი ტომი შეიცავდა ბჭობას ადამიანის დაბადების შეცდომის შესახებ, როგორც უპირველეს შეცდომას ყველა შეცდომებისა. შემდეგ ტომები შეეხებოდა პატარა ქალების, ბიჭების, ჭაბუკების, ვაჟკაცების და ბერიკაცების შეცდომებს და აგრეთვე სახელმწიფო კაცებისა, ვაჭრებისა, სალდათებისა, მზვარეულებისა და მწერლებისას. უკანასკნელი ჯერ კიდევ დაუმუშავებელი ტომები შეიცავდნენ სახელმწიფოთა შეცდომებს, რომელნიც წარმოსდგებოდნენ კერძო პირთა შეცდომებიდან.

წიგნის ყოველი დასაბუთებანი ისე იყო ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ არ შეიძლებოდა გამოეტოვებინა ერთი გვერდიც კი, რომ არ დარღვეულიყო თხზულების მთლიანობა. დასკვნა ერთი მეორიდან გამოდიოდა და უკანასკნელი კი შეურყეველათ ამტკიცებდა, რომ ტანჯვა შეადგენს ცხოვრების შინაარსს და თუ ცხოვრება ერთ განსაზღვრულ მთელს წარმოადგენს, მათემათიკურად შეიძლება გამოვიანგარიშოთ, რომ ბოროტება სწორეთ იმდენივეა ქვეყანაზე, რამდენიც თვით ცხოვრება.

ბოგუსს არ მოსვლია შეცდომა,—მან ცოლი არ შეირთო, ის ცხოვრობდა მარტოთ-მარტო თავის პაწია ოთახში ერთათ-ერთ ბებერ მოსამსახურე ქალით, რომელსაც კეტი ერქვა, ე. ი. კატერინა, რომელსაც ის ეძახოდა კლაუზენტინას, რადგან ეს ქალი სოუტგემპტონიდან იყო მოსული.

ფილოსოფოსის და უფრო ნაკლებ ტრანსცენდენტალურის გონებისა იყო, რის გამოც ერთი შეცდომიდან მეორეზე გადადიოდა. მან მეიყვარა ერთი მემაუდე სიტიდან, გაჰყვა ცოლად და მოუვლინა ქვეყანას ერთი პატარა ქალი—დეჟესი.

უკანასკნელ მის შეცდომას შეადგენდა სიკვდილი ჯვარის წერის ათი წლის შემდეგ. შედეგი ამ შეცდომისა იყო მემაუდის სიკვდილი, რომელმაც ვერ აიტანა ცოლის გარდაცვალება. ბოგუსმა პატარა დისწულს თავის სახლში მისცა ბინა, ჯერ გულმტკივნეულობით და უფრო იმიტომ, რომ ის იქნებოდა იმისთვის ნიმუში ბავშვების შეცდომებისა.

პატარა ქალი ექვსი თვისა იყო. პირველი კვირა მან ტირილში და სიჩუმეში გაატარა. მერვე დღეს კი უთხრა ბოგუსს:

— მე ვნახე დედაჩემი მთლათ თეთრებში ჩაცმული, ტანისამოსის ნაკეცებში ყვავილები ჰქონდა. მან ეს ყვავილები ჩემს ლოგინზე გადამიშალა, მაგრამ დილით მე ისენი აღარ დამხვდა, მომეცი დედა-ჩემის ყვავილები.

ბოგუსმა ეს შეცდომა შეიტანა თავის წიგნში და ამგვარი შენიშნვა გაუკეთა: ,,უმანკო შეცდომაა და ერთის მხრით—მშვენიერიც''.

ცოტა ხანს შემდეგ უთხრა კიდევ დეჟესიმ:

— ბიძია ბოგუს, შენ ბებერი და მახინჯი ხარ, მაგრამ მე მაინც ძალიან მიყვარხარ და შენც უნდა გიყვარდე მე.

ბოგუსმა აიღო კალამი, მაგრამ დარწმუნდა, რომ ის მართლაც არ იყო ახალგაზდა და არა დროს არა ყოფილა ლამაზიც, ამიტომ ბავშვის სიტყვები აღარ შეიტანა წიგნში, მხოლოდ ჰკითხა კი დეჟესის:

— რატომ უნდა მიყვარდე დეჟესი?

— იმიტომ, რომ მე პატარა ვარ!

,,პატარეები?—ჰკითხა თავის თავს ბოგუსმა,—იქნებ ესენი მართლაც საჭიროებდენ სიყვარულში. ამით შეიძლება შეწყნარებულ იქმნას ჩვეულებრივი შეცდომა მშობლისა, რომელიც აძლევს ბავშვს რძესა და სიყვარულს. ეს არის სათაური ჩემის წერილისა, რომელსაც გადასწორება დასჭირდება''.

დილით, თავის სახელწოდების დღეს, ბოგუსი შევიდა ოთახში, რომელშიაც ეწყო მისი წიგნები და ქაღალდები და რომელსაც ის უწოდებდა თავის ბიბლიოთეკას. ბოგუსმა იგრძნო სასიამოვნო სუნი და დაინახა ფანჯარაზე ყვავილის ქოთანი. ქოთანში სულ სამი ყვავილი იყო, მაგრამ სამივე მშვენიერი, ღაჟღაჟა. მათ მხიარულათ ეალერსებოდა მზე. ამ ოთახში ყველა მხიარულათ გამოსჩანდა: ძველი კრესლო, კაკლის მაგიდა, იცინოდენ ძველი წიგნების ძველი ყდებიც, ღორის ტყავის პერგამენტები და სხვა. ბოგუსსაც ღიმილი მოუვიდა, დეჟესი მოეხვია მას და უთხრა:

— შეხედე, ბიძია ბოგუს, შეხე! აი იქ ცა არის,—და ბავშვმა მიუთითა კალაში ჩამჯდარ შუშაზე.—აქ, ძირს, მიწაა, ყვავილები,—მან უჩვენა ყვავილების ქოთანი.—აი აქ კი,—დაადო ხელი სქელ ძველს წიგნებს,—ჯოჯოხეთია.

ეს სწორედ ის წიგნები იყო, რომელიც შეეხებოდა ,,ადამიანთა შეცდომებს'' და რომელიც ბოგუსის კალამს ეკუთვნოდა. დეჟესის შეცდომამ ბოგუსს მოაგონა თავისი შრომა, რომელიც მას, ცოტა არ იყოს, დაავიწყდა დეჟესისთან ერთად ბაღში სეირნობის დროს. პატარა ქალი ყველგან ხვდებოდა კარგს რამეს და უჩვენებდა ბოგუსს, რომელიც წინათ არა დროს არა სეირნობდა ხოლმე. ბოგუსმა გადაშალა თვისი ხელთ-ნაწერი, მაგრამ თავის ნაწერში, რომელშიაც არ იყო არც დეჟესი და არც ყვავილები, დაიბნა თვითვე!

საბედნიეროთ, მას წამოეშველა ფილოსოფია, რომელმაც შთააგონა მას, რომ დეჟესი არაფრათ არ ვარგა. მან მით უფრო მაგრა ჩასჭიდა ხელი ამ აზრს, რომ იგი გამოადგებოდა მას თავისი აზრების დასამყარებლათ.

ერთხელ ის ფიქრობდა სწორედ ამ საგნის შესახებ და სწორედ ამ დროს დაინახა დეჟესი, რომელიც იდგა ბიბლიოთეკაში ფანჯარასთან და ნემსზე აგებდა ძაფს.

ბოგუსმა ჰკითხა დეესსის, რა უნდა შეკეროს ამ ნემსით. დეესსიმ უპასუხა:

— განა არ იცი, ბიძია ბოგუს, რომ მერცხლები გაფრინდნენ?

ბოგუსმა ამის შესახებ არაფერი არ იცოდა, ვინაიდან ამ საგანზე არა ჰქონდათ-რა ნათქვამი არც პლინის, არც ავიცენნას. დეესსიმ განაგრძო:

— კეტმა მითხრა მე გუშინ...

— კეტმა?—შეჰყვირა ბოგუსმა,—ეს ბავშვი ალბათ პატივცემულ კლაუზენტინაზე ლაპარაკობს?

— კეტმა მითხრა მე გუშინ,—მერცხლები წელს ადრე წავიდნენ, სჩანს ადრეულა და ცივი ზამთარი დადგებაო''; ეს მითხრა მე კეტმა. მერე მე ვნახე დედა-ჩემი თეთრს ტანისამოსში, თმა ერთიანათ უბრწყინავდა, მაგრამ ყვავილები კი აღარ ჰქონდა მას, როგორც წინათ. იმან მითხრა მე: ,,დეესსი, უნდა ამოიღო ყუთიდან ბოგუსის ტყავის ხალათი და თუ ის გახეულია საჭიროა დააკეროვო''. მე გამომეღვიძა და რაწამს ავდექი, მაშინვე ამოვიღე ხალათი და რადგან მართლა ზოგ ადგილას დახეულა, მე მას დავაკერებ.

დადგა ზამთარი და მართლაც ისეთი ზამთარი, როგორიც იწინასწარმეტყველეს მერცხლებმა. ბოგუსი ტყავის ხალათში იჯდა ცეცხლთან, ითბობდა ფეხებს და ჰფიქრობდა თვისი თხზულების ზოგიერთი თავის გადასწორებაზე. მაგრამ შეათანხმებდა თუ არა ბოგუსი თავისს აზრს მსოფლიო ბოროტების თეორიას, გამოჩნდებოდა დეესსი ხელში ლუდის ჭიქით, ან სიცილით წამოვიდოდა და ბოგუსს ერეოდა აზრები.

დადგა ზაფხული და ბიძა თავის დისწულით ისევ დასეირნობდენ მინდვრებში. დეესსი ჰკრეფავდა ყვავილებს, ბოგუსი ასწავლიდა ყვავილების სახელებს და საღამო ხანზე კი დეესსი აწყობდა მათ რიგ-რიგათ ცალკ-ცალკე, თანახმათ მათის თვისებისა. ამ სეირნობის დროს დეესსი ხშირათ გამოიჩენდა ხოლმე თავისს გამჭრიახობას და მშვენიერ ხასიათს.

ერთხელ საღამოთი მან გაშალა თავისი ყვავილები და უთხრა ბოგუსს:

— ეხლა მე, ბიძია ბოგუს, ვიცი ყველა ყვავილების სახელები, ვიცი რომელი მათგანია სამკურნალო და რომელი—სასიამოვნო. მე მინდა შევინახო ესენი, რომ ყოველთვის შემეძლოს მათი ნახვა და სხვების ჩვენება. მე მინდა სქელი წიგნი მათ გასაშრობათ.

— აი წაიღე ეს,—უთხრა ბოგუსმა და მიუთითა სქელ წიგნზე, სათაურით: ,,ადამიანის შეცდომათა შესახებ''.

როდესაც პირველი წიგნი გაივსო ყვავილებით, აიღეს მეორე, მესამე, მეოთხე და ამგვარათ სამი წლის განმავლობაში მეცნიერის თხზულებანი ყვავილების საშრობათ გადაიქცენ.

ი—ელი.

რ ე პ ე ტ ი ტ ო რ ი.

(ჩეხოვიდან).

გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფე გიორგი ზიბეროვი მოწყალებით ართმევს ხელს პეტია უდოდოვს. პეტია თორმეტი წლის ბავშვი, რუხ ტანისამოსიანი, მსუქანი და ლოყებ ჩაწითლებული მიძვრება შკაფში რვეულების გამოსატანათ. მეცადინობა იწყება.

თანახმად პირობისა, რომელიც იყო შეკრული პეტიას მამასთან უდოდოვთან, ზიბეროვს უნდა ემაცადინა პეტიასთან ორ-ორი საათი ყოველ დღე, რაისთვისაც მიიღებდა თვეში ექვსს მანეთს. ამზადებს ის პეტიას გიმნაზიის მეორე კლასისთვის, (შარშანაც ის ამზადებდა პირველი კლასისათვის, მაგრამ პეტიამ ვერ დაიჭირა ეგზამენი).

— აბ-ა...—ამბობს ზიბეროვი და თან ამბობს—ეხლა თქვენ მოცემული გაქვთ მეოთხე კანკლედობა. დააკანკლედე ,,qructus''.

პეტია დაიწყებს კანკლედობას.

— კიდევ არ დაგისწავლიათ გაკვეთილი!—დგება ზიბეროვი და ამბობს.—მეექვსე ჯერ გაძლევ მაგ მეოთხე კანკლედობას და თქვენ ყურსაც არ აბარტყუნებთ! მითხარი, გამაგებინე, როდის დაისწავლი ამ გაკვეთილებს?

— კიდევ არ დაუსწავლია?— ისმის კარებს იქით ხრინწიანი ხმა და ოთახში შამოდის პეტიას მამა ,,ოსტავკაში'' გამოსული გუბერსკი სეკრეტარი უდოდოვი.—კიდევ? რისთვის არ დაისწავლე შენ? აი შე ღორო, ღორო! გჯერათ, გიორგი ალექსის ძევ, გუშინაც ვცემე!

საცოდავათ ამოიოხრა უდოდოვმა, დაჯდა თავის შვილის ახლოს და დაუწყო გადათვალიერება ,,კიუნერას'', ლათინური ენის სახელმძღვანელოს. ზიბეროვი ეგზამენს უშვრება მამასთან პეტიას. უნდა მიახვედროს გამოტვინებული მამა, რომ გამოტვინებული შვილი ყავს. გიმნაზისტი მოდის ეგზამენატორის აზარტში; ეზარება, ეზიზღება პატარა ლოყებ ჩაწითლებული ბავშვი. მზათ არის გალახოს ის. იმას ჯავრი მოდის, როდესაც პატარა მარჯვეთ და თამამათ პასუხს აძლევს—აი აგრე შეეზიზღა მას პეტია.

— თქვენ მეორე კანკლედშიაც არ იცით! არ იცით პირველიც! აი როგორ მეცადინეობთ თქვენ! აბა, მითხარით, როგორ იქნება წოდებითი ბრუნვა ,,meus silius''-საგან?

— ,,meus silius''-საგან... ,,meus silius''- იქნება... ასე იქნება...

პეტია დიდხანს უყურებდა ჭერს, დიდხანს აცმაცუნებდა წარბებს, მაგრამ გადაჭრილ პასუხს ვერ აძლევდა.

— აბა, როგორ იქნება მრავლობითი რიცხვი მიცემითი ბრუნვა ,,dea''-საგან?

— ,,Deabus''... ,,diliabus''! თამამად უგებს პეტია.

მოხუცი უდოდოვი ნიშნათ თანხმობისა აქნევს თავს. გიმნაზისტი, რადგანაც არ მოელოდა პასუხს, გრძნობს ჯავრს.

— კიდევ რომელ არსებითი სახელს აქვს მიცემითი ბრუნვაში ,,abus'', ეკითხება გიმნაზიელი.

გამოჩნდა, რომ ,,amina-სული''-ს ქონია მიცემით ბრუნვაში, რაც არ ეწერა ,,კიუნერაში''.

— მკაფიო ენაა ეს ლათინური!—თქვა უდოდოვმა.—ალონ... ტრონ... ბონუს... ანთროპოს... ნამდვილი სიბრძნეა! და ეს ყველა საჭიროა!—ამბობს ის ხვნეშით.

,,მიშლის ეს მხეცი მეცადინეობას... ფიქრობს ზიბეროვი.—ზის თავისთვის და ათვალიერებს ყველაფერს. მოთმენა არ შემიძლია, როცა ვინმე გაჩხრეკას დამიწყებს! აბა, მიუბრუნდება ის პეტიას, შემდეგისათვის ისევ ის გაიმეორე ლათინურში. ახლა კი ციფრში... აიღე დაფა! რომელია შემდეგი გამოცანა?

პეტია აფურთხებს დაფაზე და სახელოთი სწმენდს. მასწავლებელი იღებს ამოცანის წიგნს და ეუბნება:

— ,,ვაჭარმა იყიდა 138 შავი და ლურჯი მაუდი 540 მანეთათ; გვეკითხებიან რამდენი არშინი უყიდნიათ ლურჯი და რამდენი შავი, თუ ლურჯი ღირს 5 მანეთი არშინი და შავი კი 3 მანეთი?''

პეტია იმეორებს გამოცანას და მაშინვე, ხმა ამოუღებლათ, ჰყოფს 540 : 138-ზე.

— რისთვის შვრებით თქვენ ამას? მოიცადეთ! სულ ერთია, მაგრეა... გაავრძელე! რჩება რამეე? აქ არაფერი არ უნდა რჩებოდეს! მე მომეცი აქ, მე გავყობ!

ზიბეროვი ყოფს მაგრამ, პასუხათ იღებს 3 და რჩება რამოდენიმე გაუყოფელი და უცბათ შლის.

,,საკვირველია...—ფიქრობს ის, თან თმაზე ისობს ხელს და წითლდება.—როგორ თუ არ კეთდება? გმ!.. ეს გამოცანა განუმარტებელი-ალგებრის გამოცანაა და არა ართმეტიკის''...

მასწავლებელი ჩახედავს წიგნის პასუხში და ხედავს 75 და 63.

,,გმ!... საკვირველია... შევაერთოთ 5 და 3 და მერე გავყოთ 540 : 8-ზე? აგრეა მგონი? არა, აგრე არ არის!''

— გააკეთე, რას გაჩერებულხარ!—უთხრა იმან პეტიას.

— აბა, რას გაჩერებულხარ და ფიქრობ? გამოცანა ხომ ადვილია და!—ეუბნება უდოდოვი პეტიას.—აი, რა სულელი ხარ, შვილო! გამოუყვანეთ თქვენ, გიორგი ალექსის ძევ.

გიორგი ალექსის ძე იღებს ხელში გრიფელს და აპირებს გამოცანის გამოყვანას; ის ხან წითლდება და ხან ყვითლდება.

— ეს გამოცანა მართალი რომ ვსთქვათ ალგებრულია,—ამბობს ის—ეს იქსებით და იგრიკებით გამოიყვანება. თვარა და აგრეც შეიძლება მაგისი გამოყვანა. მე, აი გავყევი... გაიგეთ? ახლა, აი ასე უნდა გამოაკლოთ... გესმისთ? ან და, აი რა... გამოიყვანეთ თქვენ თვითონ ხვალისათვის... მოიფიქრეთ...

პეტიამ ზიზღით ჩაიცინა. უდოდოვსაც გაეცინა. ორივეს კარგათ ესმოდათ მასწავლებლის მდგომარეობა. მეშვიდე კლასის მოწაფეს თან და თან უფრო შერცხვა და დაიწყო კუთხიდან კუთხემდი სიარული.

— უალგებროთაც შეიძლება მაგისი გამოყვანა,—ამბობს უდოდოვი, თან იღებს სჩოტს ხელში.—აი ინებეთ შამოხედეთ... ის აწკრიალებ სჩოტზე პატარა ბურთებს და ბოლოს იღებს პასუხათ 75 და 63, რაც საჭირო იყო.

— აი ჩვენებურათ, უსწავლელათ.

მასწავლებელი თან და თან სწუხს. გულის ფანცქალით უყურებს საათს და ხედავს, რომ გაკვეთილის გათავებამდის კიდევ, ერთი საათი და ხუთმეტი მინუტია—მთელი საუკუნე.

— ახლა დიკტანტი.

დიკტანტს შემდეგ გეოგრაფია, გეოგრაფიას შემდეგ საღრმთო სჯული, მერმე რუსული ენა,—ამ ქვეყანაზე ბევრია მეცნიერება! მაგრამ აი გათავდა გაკვეთილი. ზიბეროვმა მოწყალებით ჩამოართვა ხელი პეტიას და გამოემშვიდობა უდოდოვს.

— არ შეგიძლიათ, რომ მომცეთ ფული დღეს?—სთხოვა მან მოწიწებით.—ხვალ უნდა შევიტანო სწავლის გადასახადი ფული. ახლა თქვენ უნდა მომცეთ ექვსი თვის ფული.

— მე? ოხ, კი, კი... ღუღუნებს უდოდოვი და თან თვალებს აცილებს ზიბეროვს.—დიდი სიამოვნებით! მაგრამ ახლა არ მაქვს და მე თქვენ ერთი კვირის შემდეგ... ან და ორი კვირის შემდეგ...

ზიბეროვი თანხმდება ამაზე, იცვამს თავის ძველს და გატალახიანებულს კალოშებს და მიეშურება სხვა კერძო გაკვეთილზე.

ნ. გაიოზის შვილიშვილი.

რუსეთის ცხოვრება.

პეტერბურგის დედათა კურსებზე უკვე ... ქალები. თხოვნა 654 ქალმა შეიტანა, მიიღეს 300 ქალი. 200 საისტორიო და საფილოლოგიო განყოფილებაზე და 100 —საფიზიკო-სამათემატიკო განყოფილებაზე. უარი გამოეცხადა 354 ქალს. ამის-და-მიუხედავათ თხოვნები მაინც მიდის სასწავლებლის მთავრობას, უმთავრესათ იმათგან, რომელნიც სხვა სასწავლებლებში არ მიიღეს. სულ ასეთი თხოვნა 100-ია.

— მთავრობას უკვე შეუმუშავებია პროგრამა სასოფლო-სამეურნეო საბჭოს მომავალ სესსიისა. სხვათა შორის, სესსია განიხილავს შემდეგ საგნებს: სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა შეერთება და კავშირების დაარსება, განსაკუთრებულ ზომების შემუშავება სოფლის მუშათა დასაცველათ უბედურებისაგან სამეურნეო იარაღისა და მანქანების ხმარების დროს, კანტროლიორი თესლის ვაჭრობის საქმეში და სხვანი. სესსია ამას გარდა ეცდება მოაწყოს სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ პირ-და-პირ სოფლელთაგან ნაწარმოების შეძენის საქმე. დღეს ამ ნაწარმოებს, მაგალ., ჯარისათვის, შუამავლების შემწეობით იძენენ. ფიქრობენ, ისე მოაწყონ საქმე, რომ საჭირო სურსათი და ნაწარმოები, როგორც ჯარმა, ისე სახელმწიფოს დაწესებულებებმა პირდაპირ სოფლელთაგან შეიძინონ ხოლმე

— რუსეთის ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საზოგადოებას განუზრახავს სკოლის დაარსება, სადაც ასწავლიან ბეჭდვითი საქმის ყველა დარგს. პროექტი ამ სასწავლებლისა უკვე შეუმუშავებიათ და განსაკუთრებულ კომოსისათვის გადაუციათ განსახილველათ. მალე საზოგადოება შუამდგომლობას აღძრავს.

— ამ ბოლოს დროს მთავრობამ მოუხშირა საკომერციო სასწავლებლის დაარსებას. მთავრობას განუზრახავს განსაკუთრებული სკოლა დაარსოს საკომერციო სკოლებისათვის მოსამზადებლათ. უმასწავლებლობა ძალიან აფერხებს საქმეს. მასწაელებელთა სიმცირის გამო ხშირათ იწვევენ პრაქტიკულათ დახელოვნებულ ბუჰგალტერებს.

სახღვარ-გარეთ.

საფრანგეთი. როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან საფრანგეთის იეზუიტებმა და ზოგიერთმა პროვინციებმა, რომელიც ხელთ ეპყრათ აქნობამდე იეზუიტებს, დიდი წინაღმდეგობა გაუწიეს რესპუბლიკის მთავრობას იეზუიტთა სკოლების დახურვის შესახებ და კონგრეგაციების გაუქმების გამო. მოწინაღმდეგეთა შორის ერთვენ ბევრი მოხელე, ოფიცერი, ქალაქის ბერი და თითქმის სენატორიც კი. მომეტებული ამ პირთაგანი დაჭერილია. მთავრობას გადაუწყვეტია მოეპყრას მოწინაღმდეგეთ კანონის ძალისამებრ და არ მიიღოს მხედველობაში რა ხარისხის მოსამსახურეთ ეკუთვნიან მეამბოხენი.

გერმანია. გერმანიის ერთი გაზეთი ადარებს ამ წლის ექვსი თვის აღებ-მიცემობას (1 იანვრიდგან პირველ ივლისამდე) შარშანდელის წლის ამავე დროის აღებ-მიცემობას და შემდეგი დასკვნა გამოყავს:

1902 წლის პირველ ნახევარში გერმანიაში შემოუტანიათ 23,000,000 ტონი საქონელი, 1901 პირველ ნახევარში კი შემოუტანიათ—25,000,000 ტონი. გერმანიიდგან ამ წელში გაუტანიათ 18,000,000 ტონი, შარშან კი, ამავე დროის განმავლობაში გაუტანიათ 17,000,000 ტონი, საზოგადოთ ამ წელებში, ნახშირი, რკინა და ხორბალი უფრო ნაკლები შემოუტანიათ, ვიდრე შარშან, სამაგიეროთ წელს ამერიკასა და ინგლისში შარშანდელზე უფრო ბევრი რკინა გაუტანიათ.

ᩩᲘᲜᲔᲗᲘ. ᩩᲘᲜᲔᲗ-ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲓᲦᲠᲐ, ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲔᲖᲔᲑᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲔᲫᲘᲝᲗ, ᲛᲐᲠᲐ ᲐᲠᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲪᲝᲓᲕᲐ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲔᲗ ᲛᲘᲡᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲪ; ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲒᲕᲔᲡᲛᲐᲡ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲩᲘᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲛᲑᲝᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲮᲗᲔᲜᲐ ᲐᲛ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲠᲐᲒᲘᲡᲐ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲝᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲗᲐ ᲬᲔᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ: ᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲔᲗ ᲜᲣᲜᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲨᲘ ᲩᲘᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲝᲠᲘ ᲛᲘᲡᲘᲝᲜᲔᲠᲘ. ᲐᲡᲘᲝᲜᲔᲠᲘᲗᲐ ᲛᲙᲚᲔᲚᲘ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲐᲜ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲐᲨᲘ, ᲛᲐᲠᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲮᲘᲮᲐᲓᲐ ᲑᲝᲓᲘᲨᲘ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ,

ᲐᲠᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲔ ᲛᲔᲑᲝᲓᲘᲨᲔᲡ ᲛᲒᲝᲜᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲝᲣᲮᲓᲔᲑᲐ ᲑᲝᲓᲘᲨᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲛᲝᲮᲓᲐ!

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ. ,,Jnformation''-ᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲗᲝᲠᲚᲔᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲮᲐᲖᲘᲜᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲪᲣᲚᲐᲓ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘᲐ. ,,ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲗᲕᲔᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲝᲮᲔᲚᲔᲔᲑᲡ ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲦᲘᲐᲗ. ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲛᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲩᲛᲐ ᲓᲔᲑᲔᲨᲘᲗ ᲡᲗᲮᲝᲕᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲔᲪᲐᲗ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲛᲪ ᲗᲣ ᲤᲣᲚᲘ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲪ, ᲙᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲦᲘᲐ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲐᲯᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲔᲚᲩᲛᲐ ᲓᲔᲞᲔᲨᲘᲗᲕᲔ ᲡᲗᲮᲝᲕᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲔᲗᲮᲝᲕᲜᲐᲗ-ᲘᲒᲘ. ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲥᲐᲛᲓᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲥᲪᲔᲕᲓᲐ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ, ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲡᲪᲐ ᲓᲐᲔᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲐᲗ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲐᲛᲬᲕᲐᲕᲔᲑᲓᲐ. ᲖᲔᲛᲝᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲙᲘ ᲓᲐᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲛᲒᲔᲑᲘ ᲐᲥᲐᲛᲓᲘᲡ ᲛᲝᲔᲚᲘᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ.

ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

(ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲥᲔᲜᲔᲕᲘᲓᲐᲜ).

ᲗᲣ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲡ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲐᲙᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲜᲢᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲖᲔᲓᲐᲪ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ,,ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ'' (ᲛᲐᲒ. Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ), Ქ. ᲔᲜᲔᲕᲐᲡ, ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲔᲢᲧᲝᲑᲐ. ᲛᲐᲡ ᲐᲠᲐᲤᲠᲐᲗ ᲔᲛᲩᲜᲔᲕᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲡᲕᲚᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗᲔᲚᲘᲐ; ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲜ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲐᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ, ᲡᲝᲤᲚᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲛᲗᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ ᲡᲐᲐᲒᲐᲠᲐᲙᲝᲗ. ᲐᲠ ᲔᲢᲧᲝᲑᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲢᲣᲖᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲨᲝᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘᲕᲔ ᲩᲐᲙᲔᲢᲔᲡ ᲤᲐᲜᲯᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲑᲐᲠᲒᲔᲜ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲐᲒᲐᲠᲐᲙᲝ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲖᲔ. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲕᲐᲜᲔᲑᲝᲗ, ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲥᲔᲜᲔᲕᲐᲛ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ-ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲔᲑᲘ, ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲑᲘᲜᲔᲑᲘ ᲐᲘᲕᲡᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ. ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲐᲬᲧᲔᲑᲐ ᲥᲔᲜᲔᲕᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ ᲐᲠᲪ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒ. ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲔᲒᲡ ᲔᲬᲘᲕᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲡᲐᲠᲐ ᲑᲔᲠᲜᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲝᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲓᲒᲔᲜᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲣᲬᲔᲠᲔᲚ ᲐᲚᲢᲐᲪᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲘᲗ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡᲐᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ ᲙᲝᲚᲚᲔᲜᲘ. ᲘᲛᲓᲐᲜᲐᲪ ᲝᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲓᲒᲔᲜᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲣᲖᲝᲛᲝ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲐᲔᲡᲬᲠᲝ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲨᲣᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ 14—18-ᲓᲔ ᲔᲜᲔᲕᲐ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ. ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲝᲗᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲥᲘᲠᲐ ᲒᲐᲐᲫᲕᲘᲠᲔᲡ ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲔᲑᲛᲐ. ᲮᲔᲓᲐᲕ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ,,A louer chambre mueblée'' ᲛᲘᲓᲘᲮᲐᲠ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲝᲠᲐᲗ ᲒᲘᲣᲗᲐᲡᲔᲑᲔᲜ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲕᲙᲘᲗᲮᲔᲗ, ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲚᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲔᲜᲔᲕᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲛᲓᲔᲜᲡ ᲐᲕᲘᲦᲔᲑᲗ ᲝᲗᲮᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲥᲘᲠᲐᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡᲝ. ᲔᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ, (Concours musical) ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲔᲜᲔᲕᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲣᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲔᲡᲬᲠᲔᲑᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲠᲘᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲓᲐᲜ. 14 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲘᲬᲧᲔᲡ ᲨᲣᲜᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ, ᲑᲐᲚᲔᲑᲘᲡ, ᲥᲣᲩᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲧᲝᲑᲐ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲑᲐᲘᲠᲐᲚᲔᲑᲘᲗ. ᲡᲬᲝᲠᲔᲗ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲡᲐᲕᲘᲗ ᲛᲝᲠᲗᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ. 15 ᲐᲒᲕ. ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲝᲐᲬᲧᲓᲐ ᲔᲜᲔᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲑᲘᲜᲔᲑᲘ ᲡᲣᲚ ᲐᲘᲕᲡᲝ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲨᲣᲐᲓᲦᲘᲡ ᲡᲐᲛ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲔᲜᲔᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲜ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲘᲠᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲡᲕᲚᲔᲚ ᲛᲔᲛᲣᲖᲘᲙᲔᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲗ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲖᲔ. ᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲘᲥᲪᲔᲕᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲘᲠᲐᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲣᲫᲦᲝᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲛᲐᲜᲓᲘᲚᲝᲡᲐᲜᲘ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲗᲐᲘᲒᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲔᲡ ᲛᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲕᲐ ᲥᲔᲜᲔᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲨᲕᲘᲐᲗ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲖᲔ ᲛᲝᲕᲘᲓᲔᲜ ᲛᲝᲛᲣᲡᲘᲙᲔᲔᲑᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲗᲐᲡ ᲙᲐᲪᲐᲛᲓᲔ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲓᲐᲜ. ᲘᲥᲘᲓᲐᲜ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲘᲠᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲬᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔᲜ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ. ᲘᲥ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲓᲐᲣᲮᲕᲓᲐᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲝᲡᲣᲚᲗ ᲐᲡᲐᲛᲓᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲣᲗᲮᲠᲐ. ᲛᲔᲛᲣᲖᲘᲙᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲘᲥᲪᲔᲕᲓᲔᲜ ᲐᲚᲯᲘᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲢᲣᲜᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲪᲛᲐ ᲓᲐᲮᲣᲠᲕᲘᲗ, ᲘᲡᲔ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲝᲑᲘᲗᲝᲐᲪ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲗᲔᲗᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲗᲔᲗᲠ ᲩᲐᲓᲠ-ᲬᲐᲛᲡᲮᲛᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲔᲡ-ᲥᲣᲓᲔᲑᲘᲗ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲔᲝᲠᲔᲜᲘ—ᲨᲐᲕᲡ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲨᲘ, ᲗᲔᲗᲠᲘᲕᲔ ᲩᲐᲓᲠᲔᲑ ᲬᲐᲛᲡᲮᲛᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲔᲡᲘᲡ ᲥᲣᲓᲔᲑᲘᲗ. ᲡᲐᲮᲘᲗ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲨᲐᲕᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲨᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲕᲐᲟᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲘᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ 15 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲦᲐᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲢᲐᲜᲐ 18-ᲛᲓᲘᲡ. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲗ ᲙᲘ: ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐ ᲰᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ, ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ, ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲦᲨᲘ ᲓᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲑᲐᲦᲨᲘ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲗ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲝᲓᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ: ᲓᲘᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ-ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲐᲛᲓᲘᲡ, ᲝᲠᲘᲓᲐᲛ ᲨᲕᲘᲓᲐᲛᲓᲘ ᲓᲐ ᲠᲕᲘᲓᲐᲛ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲐᲛᲓᲘᲡ, ᲠᲐ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲡᲬᲠᲝᲑᲝᲓᲘᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲘᲧᲝ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘᲗ, ᲗᲣᲛᲪ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲫᲕᲘᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲧᲐᲕᲓᲐᲗ ᲔᲥᲕᲡ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲬᲧᲔᲑᲐ. ᲝᲠᲝᲚᲚ ᲬᲧᲔᲑᲐᲡ ᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲘᲔᲑᲓᲔᲜ ᲔᲠᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔᲡ. ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐ ᲰᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲗᲐᲡ ᲡᲣᲚᲡ ᲘᲢᲔᲕᲡ. ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲘᲡᲔ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲥᲔᲓᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲜᲔᲛᲘᲡᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲛᲤᲘᲗᲔᲐᲢᲠᲖᲔ ᲘᲡᲮᲓᲔᲜ ᲐᲡᲔᲡᲡᲠᲝᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲗᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲔᲜ ᲕᲘᲜ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲐ. ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲢᲐᲨᲘᲡ ᲪᲔᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘᲗ ᲔᲒᲔᲑᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲔᲢᲐᲗ ᲛᲝᲔᲬᲝᲜᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲛᲔᲛᲣᲡᲘᲙᲔᲗᲐ �გᲣᲜᲓᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲙᲝᲞᲔᲚᲛᲔᲘᲡᲢᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝᲗᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲣᲬᲧᲕᲔᲢᲔᲚᲘ ᲢᲐᲨᲘᲡ ᲪᲔᲛᲘᲗ ᲘᲥᲛᲜᲐ ᲓᲐᲡᲐᲰᲣᲚᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲓᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲛᲣᲡᲘᲙᲔᲗᲐ ᲛᲔᲢᲬᲘᲚᲛᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ. ᲐᲥ ᲛᲔᲢᲐᲗ ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ �გᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲐ. ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 17 ᲐᲒᲕ., ᲝᲠ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲖᲔ. ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲑᲝᲢᲐᲜᲘᲙᲣᲠ ᲑᲐᲦᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲛᲣᲡᲘᲙᲔᲔᲑᲘᲡ. ᲐᲥᲕᲔ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲔᲜ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲐᲘᲠᲐᲚᲔᲑᲘᲗ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲜᲘ, ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲓᲦᲘᲡ ᲝᲗᲮ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲓᲐᲘᲫᲠᲐ ᲑᲐᲦᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲔᲛᲣᲡᲘᲙᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲡ. ᲙᲝᲠᲢᲔᲯᲛᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲘᲐᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ. ᲬᲘᲜ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲗ ᲛᲘᲣᲫᲦᲝᲓᲔᲜ. ᲮᲚᲝᲚᲝ ᲛᲐᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲛᲔᲛᲣᲡᲘᲙᲔᲗᲐ �გᲣᲜᲓᲘ. ᲗᲘᲗᲝᲗ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲣᲫ

ხოლო ხალხი წრის გარეთ მოაქციეს. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ამდენი უზომო ხალხის უკან დაწევას ისე ფრთხილათ ექცეოდენ, რომ არც შეჯახება, არც ერთმანეთის შევიწროება არ ემჩნეოდათ. ყველაფერი ფრთხილათ და თავაზიანათ კეთდებოდა. მალე წრეში იწყო მემუსიკეთა გუნდებმა შემოსვლა, რომლებსაც წყობისათ აყენებდენ. როცა მემუსიკები შემოვიდენ, მათ შემდეგ წრეში ოთხი ეტლი შემოვიდა, რომლებშიაც მჯდომი ხმა-მაღლა გაიძახოდენ ,,Vive la Genève''-ს; ხალხი, რა თქმა უნდა, ბანს აძლევდა. აქვე დიუფურის ძეგლის წინ ამართული იყო ამაღლებული ალაგი, რომელზედაც ავიდა შეფი მ. ბურგალონნი და რომლის ხელმძღვანელობითაც დაუკრეს მემუსიკეებმა შვეიცარიის ნაციონალური ჰიმნი. ამის შემდეგ ხალხი დაიშალა ხმაურობით ,,Vive la Genève''!

ორშაბათს, 18 აგვისტოს, დანიშნული იყო გემით და ნავებით სეირნობა ტბაზე და ბენგალის ცეცხლით თამაშობა. შესანიშნავ სურათს წარმოადგენდა განათებული ჟენევის ტბა, რომლის ნაპირები ავსებული იყო ხალხით. გემები და ნავები გაწყობილი იყვენ სხვა-და-სხვა ფერი განათებით, ყვავილებით და მოწყობილი ნავი, რომელიც ადრე საათში ერთი ფრანკი ღირდა, ამ ღამეს 7—8 ფრანკათ იტაცებდენ. ღამის ათ საათზე დაიწყო ზარბაზნების ცლა და ბენგალის ცეცხლით განათება. ღამე დიდი იყო. საზოგადოთ ამინდი ზომიერი იყო, არა თუ დღესასწაულების დროს, მთელი ზაფხულის განმავლობაშიაც. განათება გაგრძელდა თერთმეტ საათამდის, რის შემდეგაც ხალხი სიამოვნებით დაიშალა. ამ დღესასწაულილ ყველა კმაყოფილი დარჩა: მემუსიკენი ფულისა და ჯილდოს აღებით; მაყურებლები სიამოვნების მიღებით, ჟენეველი დიასახლისები ოთახებში ორი-სამი ფასის აღებით, ყავა-ხანები სასმელების ერთი-ორათ გასაღებით, ხოლო ქალაქი სახელით...

ქართველი ქალი.

სოციოლოგიური ეტიუდებიდან

(გაგრძელება. იხ. № 35)

II

რთული სოციოლოგიური კანონები ადვილათ შესამჩნევი როდია, მაგრამ ამით ისინი, რასაკვირველია, თავის ძალას არ კარგავენ. დღეს ჩვენ იმდენათ მდიდარი ვართ ეტნოგრაფების, ისტორიკოს-სოციოლოგიების გამოკვლევებით, რომ ძველებურათ როდი ვკმაყოფილდებით აპრიორული მსჯელობით; სოციალური მეცნიერება კულტურის მსვლელობის კანონებს იკვლევს. მართალია აქ ისევ დიდი დაბრკოლება გვეღობება წინ: ა) არ არის საკმარისი მასალა და ბ) რაც არის, ისიც შეუმუშავებელია; მაგრამ თვით ამ დაბრკოლებამ უფრო მეტი დაკვირვება გამოიწვია. ამ დაკვირვებამ და ცხოვრებაში შეძენილმა გამოცოცილებამ აღჭურვეს მეცნიერება ისეთი რთული და მძლავრი **მეთოდებით**, რომ მათი საშუალებით შეგვიძლია გავირკვიოთ სოციალური ევოლუციის გზა და მისი უმთავრესი პრინციპები გავითვალისწინოთ.

პრიმიტიული საზოგადოების არსება, მისი თან-და-თანობითი განვითარება თანაბრათ წარმოების პირობებისა, ამ უკანასკნელთა შესაფერათ საკუთრების, ოჯახის და სახელმწიფოს ფორმათა განვითარება, როგორც შედარებითი ეტნოგრაფია გვაჩვენებს, წარმოადგენენ მოვლენათა ჯაჭვს, რომელიც ყოველგან ერთსა და იგივე მიზეზითი კანონებს ემორჩილება. აი ეს განსაზღვრული წეს-რიგი და მისი გამოაშკარავება არის საგანი სოციოლოგიისა, რომელსაც ჩვენ ვუწოდეთ სინტეზთა უაღრესი სინტეზი.

ამ საერთო მიმოხილვის შემდეგ ჩვენ შევუდგებით ინდივიდუალიზმის უფრო დაწვრილებით ანალიზს და ვეცდებით გამოვარკვიოთ, თუ რამდენათ საფუძვლიანია ის მოძღვრება, რომელიც ინდივიდს აღიარებს სოციალურ ევოლუციის [illegible] ზეზათ (ავტორათ), მოძღვრება, რომელსაც საზოგადოება მიაჩნია ჯამათ ინდივიდთა კრებისა და ჩვენ ვეცდებით გავარჩიოთ ის მოძღვრება, რომელიც მეცნიერების, ცდის ჭეშმარიტების, თვით საზოგადოების გაჩენის საფუძვლათ, ავტორათ სუბიექტიურ პრინციპს—,,მე"ს, ინდივიდის კრებას, განყენებულ ფსიხიურ ძალას აღიარებს.

III.

მ-XIX-ტე საუკუნის არისტოტელი—სპენსერი ასე ახასიათებს **ცნობიერებას**: ,,ნამდვილათ უკანასკნელი ცნობიერება არის ის, რომელიც წარმოსდგება თვით უკანასკნელათ დასრულებულ მდგომარეობის ყურადღებით განხილვის აქტისაგან, ე. ი. ის მდგომარეობა, როდესაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ წინა მდგომარეობა იყო ნამდვილათ უკანასკნელი»... [1]).

ამნაირათ უკანასკნელი ცნობიერება შეუმეცნებელია (непознаваемо) და ისეთი არასოდეს არ გახდება, რომ მისშემეცნება შეეძლოთ; როდესაც ცნობიერებას ჩვენ გარდავაქცევთ ჩვენი დაკვირვების საგნათ (ობიექტათ), მის ალაგას თავს ამოყოფს ახალი ცნობიერება, როგორც სუბიექტი. ცნობიერების ობიექტათ გადაქცევა ისე არ შეიძლება, სანამ მას არ დაუპირდაპირდება ახალი ცნობიერება, როგორც სუბიექტი. უმრავლესობა თანამედროვე მეცნიერთა ამ აზრისაა ცნობიერების ბუნებაზე; ისინი ერთხმათ აღიარებენ მას შეუმეცნებლათ.

ადვილი შესაძლებელია—ურიგოთ კითხვის დაყენება და ძველი მეტაფიზიკურ მეცნიერებათა გავლენა იყოს იმის მიზეზი, რომ თანამედროვე ფსიხოლოგიამ მიაღწია ასეთ არა სანუგეშო და მეცნიერებისთვის არა სასახელო დასკვნამდის. ჩვენს მოსაზრებას ვამყარებთ იმავე ფსიხოლოგების გამოკვლევებზე, რომელთაც ცნობიერების ბუნებაზე მეტაფიზიკური შეხედულება აქვთ [2]).

თუმცა თანამედროვე ფსიხოლოგია **ცნობიერებას**, «**მე**»-ს სთვლის შეუმეცნებლათ, მაგრამ მიუხედავათ ამისა ის შეუჩერებლათ მიდის წინ, იკვლევს ყველა ფსიხიურ მოვლენებს.

«მართლაც, ფიზიოლოგია ყოველ დღე უფრო და უფრო გვაჩვენებს, რომ ყოველი ფსიხოლოგიური ფენომენი მოვლენა, რომელსაც ჩვენ ჩვენშივე ვამჩნევთ, არის მხოლოთ ეპიფენომენი,

---

[1]) Spencer. Les premiers ppincipes, „L'étot de conscinece qui est vraiment le dernier est celui dui s'opère par l'acte même de considérér avec attention l'etat qui vient de passer, c'est-a-dire celui par lequel nous pensons qn'un état antérieur était reclament le dernier". (54) „Or représenter la terminaison de la conscience comme se produisant en nous, c'est nous concevoir nous-même contemplant la cessation de notre dernier état de conscience, ce qui implique la continuation de la conscience aqrès ce dernier état; ce qui est absurde" (55)

Гефдингъ. **Очерки психологіи**. „Синтезъ, внутреннее единство наше, постоянно скрыто отъ насъ, какъ бы глубоко мы ни стремились проникнуть въ свое сознаніе; онъ—неотъемлемое предположеніе" (144).

[2]) „Всѣ согласно принимаютъ, что **безъ перемѣны сознаніе невозможно** (ᲯᲣᲠᲡᲘᲕᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲐ); когда перемѣна въ сознаніи прекращается,—прекращается и сознаніе. Но если перерывная перемѣна есть то условіе, при которомъ одномъ только и возможно продолженіе сознанія, то отсюда слѣдовало бы вывести, что всѣ разнообразныя явленія сознанія сводятся на перемѣны.

Спенсеръ. **Основанія психологіи**. 1898. ᲢᲝ. II, 83, 179.

რომელიც თან მოსდევს ფიზიოლოგიურ ფენომენს, მაგრამ მას არავითარი გავლენა არა აქვს ამ ფიზიოლოგიურ ფენომენზე (310)... ბუნება ა[illegible]ბიერება—ეპიფენომენისა სრულიათ არ სცვლის აქტიურათ იმ ფიზიოლოგიურ ფენომენს, რომელსაც ის თან მოსდევს... ამგვარათ ჩვენ იძულებული ვართ აღვიაროთ ფიზიოლოგიური დეტერმინიზმი და იმავე დროს მორფოლოგია და ფიზიოლოგიის შორის არსებულ დამოკიდებულებათა გამო, აღვიაროთ ბიოლოგიური დეტერმინიზმი; ამასთანავე ჩვენ ჩვენი კვლევის არც ერთ მომენტში არ შეგვყავს ცნობიერების ეპიფენომენები, რომელთა ბუნება ჩვენ არ ვიცით და ისიც არ ვიცით, არსებობენ თუ არა ისინი (311). როდესაც ჩვენ კვალ და კვალ ავყვებით არსებათა განვითარების კიბეს და ვაღწევთ თვითონ ჩვენამდის, ჩვენ ვხედავთ, რომ ბევრ ფიზიოლოგიურ ფენომენებს, (რომელთა სრულიათ ანალოგიურ ფენომენები ხდება ცხოველებში,) თან მოჰყვება ჩვენში ცნობიერების ეპიფენომენები, მაგრამ თუ ჩვენ განვიხილავთ მეცნიერულათ ამ მსვლელობას, მაშინ ფიზიოლოგიური დეტერმინიზმი ჩვენთვის წარმოადგენს მეცნიერულ ჰეშმარიტებას და ჩვენ მხოლოთ აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ ფენომენებს თან მოსდევენ ეპიფენომენები; ამასთანავე სრულიათ არ ვრაცხთ საჭიროთ შემდეგი კითხვის დასმას: შეუძლია თუ არა როგორმე გავლენა იქონიონ უკანასკნელებმა პირველებზე (311—321). არის ფიზიოლოგიური დეტერმინიზმი; არის აგრეთვე დეტერმინიზმი ფსიხოლოგიური, ე. ი. ერთსა და იგივე ფენომენებს **ოგელთვის** თან მოყვება ერთი და იგივე ეპიფენომენები. ყოველთვის, როდესაც ჩვენ გვგონია, რომ ეს არ მართლდება ფაქტებით, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვიცით სწორეთ ფენომენის ყველა ელემენტები და ორი სხვადასხვა გავრი პირობა ჩავთვალეთ, როგორც ერთი და იგივე» (312) [3]).

,,ასსი-მილიცია'' და ,,კომპლიკუცია'' გვაძლევს საშუალებას ავხსნათ ის რთული ფსიხიური მოვლენანი, რომელნიც პირდაპირ არ ეთანხმებიან იმ გავლენასა და პირობებს, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ; ამიტომ ამ-ნაირი ფსიხიური მოვლენანი ჩვენ გვეჩვენება, როგორც არა შედეგი ბიო-ქიმიური პროცესისა; ამ შემთხვევაში მეტაფიზიკური მეცნიერება, უძლურია და მონა ძველი თეოლოგიური შეხედულებისა თავის უხილავ და არა მიწიერ **ანპერტეპციას**, (ან არა ფიზიკურ თვისებას—ცნობიერებას) წამოგვიყენებს წინ. ბ. დერობერტი სამართლიანათ შენიშნავს, რომ მხოლოთ უმეცრება ათქმევინებს ადამიან, ვითომ რომელიმე მოვლენა არ იყოს აუცილებელი შედეგი არსებულ მიზეზებისა [4]).

ადამიანზე ყოველ წამში მოქმედობს ათასნაირი ძალა; ამ ძალთა შორის, მათი ბუნების სხვა და სხვაობის გამო, არსებობს ანტაგონიზმი. ხშირათ ადამიანის ორგანიზმზე ერთი ძალის გავლენას წინ აღუდგება მეორე და ამ პროცესის დროს ორივე კარგავს პირვანდელ თვისებას და ახალს იძენს, თანახმათ ახალი კომბინაციებისა; აქედან იბადება ისეთი ფსიხიური მოვლენა, რომელიც არ შეესაბამება კერძოთ არც ერთ გავლენას, ფაქტორს, მაგრამ საერთო კომბინაციის კი ბუნებრივი ნაყოფია, კანონიერი შვილია.

[3]) Le Dantec. Thèorie etc.

[4]) „Le hasard est le signe, le symbole de l'inègalitè que nous percevons, ou soupçonons seulement, entre les deux membres de l'èquation causale. L'eflet nous semble plus grand que sa cause, et cette lacune apparent dans le group des phènomènes antècèbents nous pousse, pour la combler, à invoquer ia fatalitè avegle sinon les mustèrieux desseins d'une Proviodence bènèvole ou malèficieuse». Roberty. Le psychisme social გვ. 180 იხ. აგრეთვე: Riqot. L'èvolution des idees gènèrales. გვ. 210—211.

ამ გავლენათა შორის განწყობილება, ფსიხიური მოვლენა რთულდება იმ გარემოებით, რომ ორგანიზმში წინანდელ გავლენათაგან კვალია დატოვებული. ეს კვალი შეადგენს იმ ნიადაგს, რომელზედაც მოქმდებენ ახალი გავლენანი [illegible] ძალები. ხშირათ ორგანიზმის საერთო მდგომარეობა და ძველი გავლენისაგან დატოვებული კვალი ხელს უწყობს უფრო სუსტ ძალას (გავლენას) და ამ ნაირათ უძლიერესი, საოცარი ინტესიური ძალის პატრონი გავლენა მარცხდება ორგანიზმში ფრიად სუსტი გავლენის წინაშე. რადგან ჩვენ ვერ ვითვალისწინებთ ამ რთულ პროცესს, ჩვენ მივაწერთ ამგვარ ჩვენთვის მოულოდნელ მოვლენებს რაღაც არა მატერიალურ, მისტიურ ძალის გავლენას.

აი სწორეთ ამ ბრძოლის ან ამ ძალთა მიერ გამოწვეულ ბიო-ქიმიურ პროცესსის დროს ადამიანი **ოოემანობს**, ვერ სწყვეტს კითხვას [5]), გამოურკვეველ მდგომარეობაშია: ადამიანი **ფიქრობს**... აი, ლამის, ერთმა გავლენამ გაიმარჯვოს და გამოიწვიოს შესაფერი მოძრაობა, მაგრამ ამ დროს ახალმა კომბინაციამ სრულიათ შეცვალა ხასიათი ძალთა განწყობილებისა და მათი გავლენისა; ეს არის ის ჟამი, როდესაც ადამიანი, **არჩევს**... აქ ახალმა კომბინაციამ (ბიო-ქიმიურმა პროცესმა) გამოიწვია ახალი მოვლენა, ახალი მოძრაობა. ადამიანს ჰგონია ამ შემთხვევაში, რომ აქ მოქმედებს მისი ,,თავისუფალი ნება'', მაგრამ ნამდვილათ კი აქ იგივე—მოვლენაა, როგორიც მაგ. ასეთი: ქიმიკოსმა აიღო რომელიმე ელემენტი, ჩაყარა წყალში, წყალი შეიღება, გაურია შემდეგ მეორე ელემენტი—წყალმა მიიღო სულ სხვა ფერი. ცნობიერების თვით-არსებობა სრულიათ უსაფუძვლოა, რადგან ადამიანის ბუნებაში აქვს ადგილი მხოლოთ ფიზიკურ პროცესს; **ცნობიერება ამ პროცესის თვისებაა** და მეტი არაფერი. ვუნდტმა აპპერცეპციის შეტანით ფსიხოლოგიაში გადაუხადა ხარკი მეტაფიზიკას; ვუნდტი ვერ განთავისუფლდა ძველ შეხედულებათა გავლენისაგან, როგორც ვერ განთავისუფლდა სპენსერიც. ვუნდტს აქვს თავისი მისტიური **ანპერტეპცია** და სპენსერს თავისი **„გაუგებარი"** (მიუწდომელი). ვუნდტზე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ ის რაც ტარდმა დასწერა სპენსერზე ,,Il n'y-a-pas fres loin de l'Alliah de Mahomet á j'jnconnaissable de Spencer. L' Inconnaissable est l' Inconnaissadle, Spencer est son prophète'' *), (ძლიერ შორს არაა მაჰმადის ალლაჰიდან სპენსერის გაუგებრობამდი. გაუგებარი გაუგებარია და სპენსერი მისი წინასწარმეტყველია).

დ, თ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ.

ახალი ზელანდია ინგლისს ეკუთვნის. ის მდებარეობს ავსტრალიის აღმოსავლეთით, რამდენიმე ასი ვერსის მანძილზე. იშვიათი ბუნებრივი პირობებით—საღი ზომიერ ჰავით, ნაყოფიერი ნიადაგით, მადნეულობით—დაჯილდოებულია ახალი ზელანდია, ამ კუნძულების ძირითადი მცხოვრებნი—მათში—მოსული თეთრკანიანების მხოლოთ მეოცედს შეადგენენ. დღეს იგინი სრულიათ გათანასწორებული არიან უფლებებში თეთრკანიანებთან. აქაური თეთრკანიანები სულ ინგლისელები არიან, უმეტესათ შოტლანდიელები. ევროპიდან გადმოსახლება აქ დაიწყო ამ სამოცი წლის წინათ.

1899 წელს ახალ ზელანდიაში ითვლებოდა 783.317 მცხოვრები, მუშები.

ახალი ზელანდია შეუერთდა ინგლისს 1840 წელს.

1852 წლამდე ამ ქვეყანას ინგლისას მოხელეები მართა-

[5]) Tarde. La logique sociale. 1895. გვ. 113.

ვდენ, ამ წელს კბ მართვა-გამგეობის წარმომადგენლობითი ფორმა (კონსტიტუცია) იქნა შემოღებული. ამ კონსტიტუციის ძალით, გამგეობის სათავეში დგას ინგ[illegible] გუბერნატორი, რომლის უფლებები ერთობ შეზღუდულია: მას შეუძლია მხოლოთ დროებით არ დაამტკიცოს პარლამენტის გარდაწყვეტილები, მასვე შეუძლია ქვედა პალატის უმრავლესობის წრიდან [illegible]ინისტრები აირჩიოს, ის თავმჯდომარეობს სამედიატორო სამართალს და სხვ. 1879 წლამდე ახალ ზელანდიაში რამდენიმე [illegible]ვინციალური პარლამენტი არსებობდა, და ამით ახალ ზ[illegible]ანდიის კონსტიტუცია ინგლისის სხვა კოლონიების კონსტიტუციებისაგან განსხვავდებოდა. ხსენებულ წელს კი პროვინციალური პარლამენტები გაუქმებულ იქნა, რადგან იგინი [illegible]ოგიერთი საზოგადო მნიშვნელობის კითხვის გადაწყვეტას [illegible]ელებდენ. 1891—1893 წლებში კონსტიტუციაში ახალი რეფორმები შემოიღეს. ზედა პალატაში რამდენიმე ადგილი მაორებს მიანიჭეს. ორივე ეროვნების ქალებს მისცეს მამაკაცების თანასწორი საარჩევნო უფლებები.

1896 წელს მოსპობილ იქნა ამომრჩეველთათვის ყოველგვარი ცენზი. აქედან ყოველივე ვაჟს თუ ქალს, არა ნაკლებ ოცდაერთი წლისა, უფლება აქვს პარლამენტში არჩევნების დროს მონაწილეობა მიიღოს. ამავე წელს მაორებს ოთხი ალაგი დაუთმეს ქვედა პალატაში. (სულ 74 ალაგია). მათ მინისტრების კაბინეტშიც ყავთ თავისი წარმომადგენელი.

—

მოვიყვანოთ ახალი ზელანდიის ცხოვრების დამახასიათებელი უმთავრესი სტატისტიკური ცნობები.

საკვდილი ახალ ზელანდიაში უფრო იშვიათია, ვინემ სხვა რომელიმე ქვეყანაში. მაშინ, როდესაც ათას კაცზე წლიურათ კვდება: დანიაში—15 კაცი, ინგლისში—17, შვეიცარიაში—18, საფრანგეთში—20, გერმანიაში—21, ავსტრიაში—26, ვენგრიაში—29, რუსეთში 34,—ახალ ზელანდიაში იმავე რიცხვზე კვდება მხოლოთ 9 კაცი. საკვდილის პროცენტის სიპატარავე აიხსნება, რა თქმა უნდა, არა მარტო ჰავის ზომიერებით, არამედ მცხოვრებთა კეთილდღეობის და კულტურის მაღალი ხარისხით. ამის მაჩვენებელია შემდეგი ფაქტი:

თვითეული ახალი ზელანდიელის გარეგანი ვაჭრობა აღემატება შინაგ[illegible]ვაჭრობას 250 მანეთით. ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში კი ასეთი ვე „აღმატება“ შეადგენს მხოლოთ 10 მანეთს, ე. ი. ახალი ზელანდიის გარეგანი ვაჭრობა (რომ პროცენტებით ვი[illegible]ვარიშოთ) ოცდა ხუთჯერ უფრო დიდია [illegible] ქვეყნების გარეგან ვაჭრობაზე.

1898 წელს თვითეულ ახალ ზელანდიელს ქონდა საშუალო რიცხვით $5^1/_2$ დესეტინა მიწა, ყავდა ორი თავი მსხვილი საქონელი და ოცდა ხუთი ცხვარი. მუშა კაცის შრომის წლიური ფასი უდრიდა 800 მანეთს, ხოლო მუშა ქალის—300 მანეთს.

ხალხის კეთილდღეობის საუკეთესო მაჩვენებელი არის, თუ რამდენ ხორცსა ხარჯავს ის თვის საკვებათ. ამ მხრით მეტათ საინტერესოა ახალი ზელანდია.—„მაშინ, როდესაც ინგლისელი ჭამს ღლიურათ 110 გირვანქა ხორცს, და ამერიკელი კი—120 გირვანქას,—ახალ ზელანდიელი მოზრდილი ადამიანი ხარჯავს 200—250 გირვანქასაო“—ამბობს დოქტორი დჟონ მური, ახალი ზელანდიის კარგი მცოდნე.

კულტურის ხარისხის კარგი საზომი არის აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის მდგომარეობა. ამ მხრით, როგორც სხვა მრავალი მხრითაც, ახალი ზელანდია პირველი ქვეყანაა დედამიწის ზურგზე.

ახლა სწავლა-განათლება! ამ მხრით სწორეთ ზღაპრული მხარეა ახალი ზელანდია. ყველა მცხოვრებნი წერა-კითხვის მცოდნეა. პირველ დაწყებითი სწავლა უფასოა და მასთან სავალდებულო—13 წლის ბავშვთათვის. განათლება საერო, ე. ი. გამოტოვებულია სარწმუნოებრივი ელემენტი. კოლონიაში არის 1800 შკოლა, რომლებშიაც 153.000, ორივე სქესის ბავშვი სწავლობს. 2700 კაცზე მეტი უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. აქ არის უნივერსიტეტი, ტეხნოლოგიური ინსტიტუტი, ორი სამთო სასწავლებელი, სამეურნეო ინსტიტუტი და ორი სამხატვრო შკოლა. ასი ათასზე მეტი კაცი საკვირაო შკოლებში დადიან *). ამ შკოლებში 11.120 მასწავლებელი (ქალი და კაცი) ასწავლის. პირველ დაწყებით სწავლაზე ახალზელანდიაში იხარჯება წლიურათ 5 მილიონი მანეთი (თითო სულზე $6^1/_2$ მანეთი). რუსეთში რომ ასევე იყოს დაყენებული სწავლის საქმე, მაშინ წლიურათ დაიხარჯებოდა ერთი მილიარდი მანეთი. ახალი ზელანდიის სწავლა-განათლება მით განსხვავდება ევროპის სწავლა-განათლეიბსგან, რომ აქ უფრო მკვიდრ საფუძვლიან და პრაქტიკულათ საჭირო მეცნიერებას გადიან.

1896 წელს კოლონიაში 304 ბიბლიოთეკა იყო, რომლებშიც 410.000 სხვა და სხვა გამოცემა ითვლებოდა. 1898 წლის განმავლობაში გამოდიოდა 208 პერიოდიული გამოცემა (ჟურნალ-გაზეთი), ე. ი. თითო გამოცემა 3600 სულზე. ასევე რომ ყოფილიყო რუსეთში, მას (რუსეთს) უნდა ქონოდა 35.000 პერიოდული გამოცემა, მართლა კი ორმოცდა ათჯერ ნაკლები აქვს. პრესის თავისუფლება აქ ისეთივეა, როგორც ინგლისში, ხოლო აქაური პრესა უფრო ცოცხალი და გამ[illegible]ედავია. ყველა საზოგადოებრივ და სამართველო დაწესებულებათა მოქმედების შემამოწმებელი და კრიტიკის ქარცეცხლში გამტარებელი აქ პრესაა.

ცნობილმა ლერუა-ბოლიემ ახალზელანდიის და მთელი ავსტრალიის შესახებ წარმოსთქვა, „არ არის დედამიწის ზურგზე მეორე კუთხე, სადაც ცხოვრება ასე ადვილი იყოს, და საკვები მასალა ასე იაფი.

სამშობლოს ცაზე.

ეველთვის თქმა ჯობს არა თქმასა, ოდეს თქმით რამ გაგეთდების.—„ივერიამ“ დაბრუნა!—ბანქობანა სამკითხველოში.

წარსულ კვირას მივაბარეთ მიწას უდროოთ გარდაცვალებული ჩვენი ნიჭიერი მწერალი-დრამატურგი ავქსენტი ანტონის-ძე ცაგარელი. ვერ დავწამებთ ცილს ქართველ საზოგადოებას რომ მას რომელისამე ჩვენის მოღვაწისათვის ცრემლები დაეშუროს; არც განსვენებულის ავქ. ან. ცაგარელისათვის დაუკლია მას თავისი გულ-წრფელი მგლოვიარობა, მაგრამ დააკლო კი ერთი რამ, რომელიც მისის მეოხებით ცოტა რამ სარგებლობას კიდევ მოუტანდა მიცვალებულის კუბოს ირგვლივ თავ-მოყრილ ხალხს, რომელთა შორისაც ბევრნი იყვენ ისეთნიც, რომ არ იცოდენ და არც დღეს იციან, რას და ან ვის კუბოს მისდევდენ, ვისა გლოვობდა ქართველი ერი? რას მიეწერება ჩვენი სიჩუმე გარდაცვალებულის კუბოს წინ? რათ სდუმდენ ჩვენი მარად ენა-წყლიანი მწერალ-ორატორნი? რომ სხვა არა ვთქვათ-რა, უბრალო მართებულობა მაინც მოითხოვდა უდროო მსხვერპლის ამხანაგთაგან ეთქვათ თავის მეგობრისათვის უკანასკნელათ რამდენიმე სიტყვა. ამგვარ სიჩუმის უადგილობას გრძნობდა ყველა, ხოლო არ ვი-

---

*) საგულისხმოა, რომ ამ შკოლებში მსმენელი ქალთა რიცხვი გაცილებით სჭარბობს მსმენელ კაცთა რიცხვს. (61.682—54.063).

ცი გრძნობდენ ამას ისინი, ვისი მოვალეობაც იყო ამოეღო ხმა, თუ არა? დიაღ, ყველთვის თქმა ჯობს არა თქმასა, როცა თქმით რამ გაკეთდების, მაგრამ ჩვენი სიზარმაცე მხოლოდ მაშინ აგვალაპარაკებს ხოლმე, როცა ,,თქმით რამ დაშავდების''.

* * *

წარსულ კვირის ,,კვალის'' 34 №-ში მე ,,ივერიას'' მეხსიერების ღალატი შევნიშნე. იმის მაგიერ, რომ იერუსალიმის ,,პალომნიკს'' სათვალეები გაეკეთებინა და მოეძებნა მუხანათი მეგობარი, შეეჩვენებინა თვისი მოღალატე, შეება მისთვის საბელი და დაება ტვინის პალოზე, მან, ჩვენმა თავ-შეხვეულ მაყრებიანმა პატარძალმა, იუკადრისა ჩვენი სიტყვები, დაიქნია ლეჩაქის ბოლო და ააწრუწუნა, ,,ივერიისავე'' მწერთა შორის და ქვეყნათ მხოლოთ ბელურას ,,პორციათ'' გაჩენილი ,,ბზიკი''.

არაო,—გვიკიჟინებს ბუზანკალი,—,,ივერია'' არ წასულა თავის წინააღმდეგ არა დროს და არც მოხდება ეს ამინის უკუნისამდეო. ამ კვირია ალბათ შორს სადღაც იყო გაფრენილი ,,ივერიის'' ,,ბზუკუნა'', თვარა არ მიცემდა ნებას დედოფალს, ასე მალე შეერცხვინა მეფეცა და მაყარიც, ,,ბზიკცა'' და გარეჯელ-ულეველ-ქსნისპირელებიც.

სწორეთ განგებას უნდოდა, რომ ასე მალე დაემტკიცებინა ,,ივერიას'' კიდევ და კიდევ თავის შუბლთან დატაკება და საღამოთი იმის უარ-ყოფა, რაც დილით გამოფინა ღობეზე საქვეყნოთ. აი ეს ,,ივერიის'' მუჯლუგუნი ,,ივერიისავე'' გვერდებში:

მოგეხსენებათ, ამ ერთი თვის წინათ ,,ივერიამ'' ცას თითი წაატაკა და ჩამოაგდო იქიდან ერთი ავგაროზი, რომელიც, მისის აზრით, გულზე უნდა დაიკიდოს ყოველმა ქართველმა. ავგაროზს ზედ ეწერა: ,,ბოიკოტი და მით სომხების განდევნა საქართველოდან''. ამას ხომ ვერა ყოფს უარს პატივცემული გაზეთი?! და თუ კიდევ და კიდევ უღალატებს მეხსიერება, წააკითხოს თვისს ,,ბზიკს'' თვისი 134 №-რი. დიაღ, ეს ასეა, და თუნდ თქვენს მეხსიერებაში მთლათ წაშალოთ ყოველივე თქვენი ოცო-ბოდო, ის მაინც დარჩება ,,ივერიის ფურცლებზე. დაუპირდაპირეთ ზემოხსენებულს №-ს ,,ივერიის'' 179 № და იქნება მიხვდეთ, რას ნიშნავს დღეს ხვალის უარ-ყოფა და უკუ-გდება თავისი თავისა. აი რა სწერია ივერიის 179 №-ში: ,,ჩვენ არავის გავყრით ,,მშვენიერ ქართლიდან'', მით უმეტეს სომხებს, რადგანაც ჩვენ, ქართველები, სტუმართ-მოყვარენი ვართო''. გესმის, მკითხველო?! ამ ერთი თვის წინათ ,,გაყარეს'' და ერთი თვის შემდეგ კი ,,აღარავის ყრიან'' და ,,მით უმეტეს სომხებს''! საქართველოში დარჩენასთან ,,ივერია'' სომხებს იმავე ნომერში უმასპინძლდება კიდეც. დარჩითო,—დასცა დასტური ბატონმა,—მაგრამ დარჩით სტუმრებათ. მერე როდემდის უნდა გაგრძელდეს ეს თქვენი ნადიმი, გულუხვი მასპინძელო! ან ვინ მოინდომებს ასეთ ხანგრძლივს სტუმრობას; მერე იმგვარ მასპინძელთან, რომელიც წინდაწინვე ემუქრება: ჩემს ტოლუმბაშობას—არ გადაუხვიო, თვარა გზას გიჩვენებო. ერთის სიტყვით, ,,ივერიამ'', თუმცა თავისებურის პირობებით, მაგრამ მაინც დააბრუნა სომხები საქართველოში და მით უღალატა თავისს წინანდელ ბაირაღს, რომელსაც აქამდის ეწერა: ,,შორს ჩვენგან სომხებო, გეთ არარატისაკენო''.

ვნახოთ როდემდის ებრძოლება ბებერი ყოჩი თავისსავე რქებს!

,,ივერიის'' 176 №-ში იგივე ,,ბზიკი'' ბზუის რიგოლეტოს გარშემო, მაგრამ რათ დასჭირდა ამას ევდოშვილის ხსენება, ეს ,,ივერიისავე'' ლიტერატურულმა რიგიანობამ უწყის. ფარდის უკან შეხედვა ვერაფერი ხელობაა, ჩვენო ბუზანკალო!

* * *

ბაქოში ყოველ მხრივ კრიზისი ყოფილა! კრიზისი ნავთის წარმოებისა და კრიზისი შეგნებისა და გაგებისა, თუ რომელ საგანს რა დანიშნულება აქვს, რა არის სამკითხველო და რა არის ბანქოს სათამაშო სახლი! უკანასკნელი კრიზისი დასდგომია იქაურს ქართულ ბიბლიოთეკის გამგეს—მკერვალიშვილს; როგორც წარსული კვირის ,,ცნობის ფურცელში'' ეწერა, ამ ბატონს ნარდობანა გაუმართავს სამკითხველოში და ვერაფერი ,,დუ-შაში'' ამოსვლია...და ფაქტი კი მაინც იმას ღაღადებს, რომ იქაურ ქართველთა შორის საშინლათ დაცემულია სამკითხველოს დანიშნულება და წიგნების ფასი.

ასეთივე ამბავია თურმე ჰიათურის სამკითხველოში. როგორც ავწერენ, იქ ერთნაირი ,,კითხვაა'' შემოღებული თვით ბიბლიოთეკარისაგან. კითხულობენ თურმე ყანყრატოთი თვალებ-დახუჭულები, აი როგორც იცოდა ცხონებულმა ლუარსაბმა ბოზბაშისა და კახურის შემდეგ, ამასთანავე სამკითხველოში ყველაფერიაო,—გვატყობინებს ჩვენი კორესპონდენტი, გარდა წიგნებისა, ე. ი. ყოფილა ქაღალდები, მაგრამ ქაღალდები სულ სხვაგვარი: ბუბნის ხელმწიფე, ყვავის ქალი, ჯვრის ტუზი და სხვა... რაც კი საჭიროა ბანქობანასთვის. კარგი იქნება ზემოხსენებულმა სამკითხველოებმა ბიბლიოთეკის ხარჯზე სახელმძღვანელოც გამოიწეროონ ამ ხელობისათვის.

რიგოლეტო.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

«Новое Обозр». № 6142. ბ. კარა-მურზას, რომელიც თავის თავს უწოდებს ეკონომიურ ლიტერატურის მცოდნეს, არ ცოდნია, რომ ედ. ბერნშტეინს არა აქვს არც ერთი სერიოზული მეცნიერული ნაშრომი ეკონომიურ კითხვების შესახებ, თორემ ასეთ ყოვლათ უსაფუძლო აზრს არ წარმოსთქვამდა ის ბ. ბერნშტეინზე: ,,во всякомъ случаѣ, нужно согласиться, что въ экономической наукѣ онъ вполнѣ, какъ говорится, „у себя дома» ბ. კარა-მურზა ვერ ბრძანდება, ეტყობა, ,,болѣе или менѣе'' მცოდნეც ეკონომიური ლიტერატურისა და ამიტომ ბროშურების ავტორები მას ღრმა მეცნიერები გონია.

ცნობის ფურცელი'' № 1902. ეს გაზეთი, როგორც მკითხველებმა კარგათ იციან, საზრდოვობს მხოლოთ ენციკლოპედიური ლექსიკონით და ბროშიურებით (გაიხსენეთ ბ. ჯორჯაძის ,,სამეცნიერო'' წერილები და მისივე აღსარება) და არა-პოპულარულ ნაწერებს ძალიან უფრთხის; კარგათაც იქცევა. სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა სახიფათოა მისი თანამშრომლების ,,საღი გონებისათვის!..'' მართლაც, როგორც კი ამოიკითხა ,,ცნობ. ფურც.'' ერთმა თანამშრომელმა სპენსერის ფილოსოფიის უმთავრესი ფორმულა (გადმოთარგმნილი) ,,კვალში'', ამ ვაჟბატონს ბრაზი მოუვიდა და კინაღამ გამოესალმა ,,საღ გონებას''... საბრალო ,,ცნობის ფურცელო''!

,,ივერია'' № 176. არიან ვაჟბატონები, რომლებიც მაშინაც არ აღიარებენ თავის თავს ქურდათ, როდესაც მათ მარჯვენას ჩაიჭერთ თქვენს ჯიბეში. (ასეთ ვაჟბატონებსაც კი გამოუჩნდებიან ხოლმე ღირსეული აბლაკატები...) ბ. plebs-ი ,,ივერიის'' 173 ნომერში მასლაათობდა მეურნეობაზე და თავის გაპრტყელებულ წერილს იწყებდა ტყუილით, ვითომ ,,კვალი'' აგრარულ კითხვებს ყურადღებას არ აქცევდეს...

ჩვენ გაპატრიცებულ plebs-ს გამოუჩნდა ვიღაც აბლაკატი—ბზიკი. გასაკვირველი არაა, რომ გაპატრიცებულს ქომაგი გაუჩნდა, მაგრამ რატომ მისი აბლაკატი ბზიკია და არა დათვი? ალბათ გაპატრიცებულნი უკვე გადაშენების გზას დაადგენ.

თ. ილ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ.

ვინ არის საზოგადო მოღვაწე? ის—ვინც საზოგადოებას ემსახურებაო, იტყვის ბევრი. ამგვარი პასუხი არა ვის არაფერს არ ეუბნება. საზოგადოება არ წარმოადგენს ერთ ფეროვან მასსას, ის შედგება რამდენიმე ნაწილისაგან თვითოეული ნაწილის მისწრაფება და ინტერესები სხვა და სხვა არის და ამიტომ საზოგადოებრივი მოღვაწეობაც სხვა და სხვა მიმართულებისა და სახის არის. საზოგადო მოღვაწე არის ის, ვინც იცავს თვითოეული ნაწილის ანუ კლასის ინტერესს.

ზოგჯერ შეხვდებით საზოგადოებაში ისეთ პირებს, რომელთაც საქმით არაფერი არ გაუკეთებიათ, უბრალო პატარა ჩირგვიც კი არ ჩაურგავთ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ერთს ყველა ჰკიცხავს, მეორეს ყველა პატივსა სცემს და ხშირათ დაფნის გვირგვინით ამკობს. მიზეზები ამგვარი მოვლენისა ის არის, რომ ყოველი ადამიანი და ყოველი მოღვაწე მარტო საქმით კი არ დაიფასება, არამედ სიტყვითაც, კარგი სიტყვა კარგათ თქმული ნახევარ საქმეს მაინც უდრის და ხშირათ ადამიანი იმ გვარ პირობებში ცხოვრობს, რომ თუ კარგი სიტვით თქმა შეეძლო, მეტი არაფერი მოეთხოვება. ამიტომ ყოველი მოღვაწის დასაფასებლათ უნდა ვიცოდეთ, როგორი იყო მისი აზრები, მისა მისწრაფებანი და მისი სურვილები.

ისეთი მოღვაწეები, როგორიც ილ. ჭავჭავაძეა. უმთავრესათ წარსულს ეკუთვნიან; ამით იმის თქმა კი არ მინდა, ვითომც ის, რაც ილ. ჭავჭავაძემა სთქვა და გააკეთა, დღეს სრულებით უმნიშვნელო იყოს, არამედ მხოლოთ ის, რომ უმთავრესი და უმეტესი ძალღონე მან უკვე დახარჯა, უმეტესი ნაწილი თავისი ასპარეზისა მან უკვე განვლო, მხოლოთ უმცირესი დარჩა. ასეთი მოღვაწე უსათუოდ უნდა დაფასდეს იმ დროისა და პირობების მიხედვით, რომლებშიაც ის ტრიალებდა,—ისტორიული საზომი ერთათ ერთი სამართლიანი საზომია ძველების დასაფასებლათ. ყოველი ადამიანი შეიმუშავებს განსაზღვრულ შეხედულებას ცხოვრებაზე. განსაზღვრულ აზრებს, აღიჭურვება განსაზღვრული იდეალებით და შემდეგ იწყებს მათ განხორციელებას ცხოვრებაში, მაგრამ ცხოვრება ნელა ნელა ვითარდება, რაც დღეს ახალი და ფრიათ საჭიროა, ხვალ უკვე მოძველებული და დროს გადასული ხდება, ამიტომ ყოველი მოღვაწეც უნდა ვითარდებოდეს დროის მოთხოვნილებისამებრ,—თუ წინ ვერ წაუსწრებს ცხოვრებას, თუ ყოველთვის იმის მოწინავე მედროშეთ არ იქნება, უკან მაინც არ უნდა ჩამორჩეს და არ შეაყენოს თავისი გონება და გული ერთს წერტილს. ერთს წერტილზე შეჩერება სიკვდილია ყოველი მოღვაწის, რაც უნდა ბრწყინავი იყოს პირველათ ეს წერტილი. ამიტომ ყოველი მოღვაწის სამართლიანი დაფასება უცილოთ მოითხოვს იმის გამორკვევას, თუ რამდენათ შეეფერებოდა ეს მოღვაწე თავის დროს. ამ მცირე წინასიტყვაობის შემდეგ გადავალთ ჩვენს პირდაპირ საგანზე.

ილ. ჭავჭავაძის შესახებ ჩვენს საზოგადოებაში და მწერლობაშიც ორგვარი ერთი მეორის სრული წინააღმდეგი აზრი არსებობს: მაშინ როდესაც ძველი თაობის უმრავლესობას ილ. ჭავჭავაძე პატარა ღმერთათ გაუხდია, ახალი თაობის ერთი ნაწილი სრულებით უარჰყოფს მის მოღვაწეობას. პირველებს თავისი საბუთი აქვთ, მეორეს თავისი; გამორკვევა ორთისა და მეორესიც, მიუდგომლათ დაფასება იმისი, თუ რა გაუკეთებია მათ ჩვენ ცხოვრებაში. კარგისა და [illegible] ცალკე გამოყოფა ყოველთვის საჭიროა და [illegible] როდესაც ჩვენ ცხოვრებას და მწერლობას შორის თითქმის სრულებით შეწყდა კავშირი. ყოველი მოღვაწის და მით უმეტეს მწერლის რიგიანი დაფასებისათვის უპირველეს საჭიროებას შეადგენს ბიოგრაფია. თუ არ იცით, როგორ ოჯახურ წრეში დაიბადა და გაატარა სიბავშე ამა თუ იმ პირმა, თუ არ იცით როგორი ხასიათის და ბუნების იყვნენ მისი მშობლები, იმის ნამოქმედარში ბევრი რამ დაგრჩებათ გამოუცნობი და სწორეთ ეს უნდა ვთქვათ ჩვენ ილ. ჭავჭავაძის შესახებ. ჩვენ მწერლობაში ვერ ნახავთ ვერაკვითარ ბიოგრაფიულ ცნობებს ამ პირის შესახებ. ამიტომ ჩემს წერასაც ბევრი ნაკლი ექნება, მაგრამ თუ ავხსენით და განვმარტეთ ილ. ჭავჭავაძის მოღვაწეობის ზოგიერთი მთავარი მხარენი, ჩვენ ამითაც კმაყოფილი ვიქნებით და მკითხველმა თავისი იცის.

ილ. ჭავჭავიძის მოღვაწეობა როგორც სალიტერატურო, ისე პრაქტიკული, იყოფა ორ ხანათ; პირველ ხანას შეადგენენ მესამოცე წლები, მეორე იწყება სამოცდა ათი წლიდან. ამ ორ ხანას შუა არავითარი კავშირი, არავითარი მზგავსება არ არის. პირველ ხანაში ილ. ჭავჭავაძე სრულებით სხვა არის, მეორეში სრულებით სხვა. ამ ორ ხანაში ერთი და იგივე პირი ორი სხვა და სხვა ადამიანია, პირველი შფოთარი, მოუსვენარი, ჯერ კიდევ დაუდეგელი, მეორეში კი დინჯი, წყნარი და სამუდამოთ დადეგებული. ბუნებაში ბევრი საკვირველი მეტამარფოზა ხდება და ილ. ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობაც ერთ საოცარ მეტარფოზას წარმოადგენს. მართალია როგორც პირველი ისე მეორე ძლიერის ნიჭით არის აღჭურვილი, მაგრამ ამ ნიჭს პირველ ხანაში სხვა მეთაური ყავს, მეორეში სხვა და ამიტომაც სხვა და სხვა ღირსების არის ორივე ხანაში.

თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის პირველ წლებში ილ. ჭავჭავაძე ბევრში წააგავს ძველ მწერლებს. გამოურკვეველი სევდა, გამოუცნობი მისწრაფება სადღაც. უკმაყოფილება და მამულისა და მისი წარსულის ღრმა სიყვარული—აი რას შეხვდებით პოეტის პირველ ლექსებში. ის გულ ნატკენი იგონებს მამულის წარსულ დიდებას და ამაყობს, რომ ქართველია.

> ᲐᲬ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ ᲗᲐᲕᲘ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐ
> ᲗᲥᲕᲔᲜ ᲨᲝᲠᲘᲡᲐ ᲛᲮᲔᲓᲐ, ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡ ᲕᲐᲠ ᲨᲕᲘᲓᲘ,
> ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲗᲐ, ᲛᲔᲮᲗᲐ, ᲥᲣᲮᲘᲚᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲮᲓᲘᲚᲘ.

მიუხედავათ ამისა ახალგაზდა პოეტი ღრმათ დარწმუნებულია, რომ ჩვენი იდეალი მომავალშია და არა წარსულში და ამ რწმენამ წარმოათქმევია მის ქართველ დედასადმი შემდეგი საუცხოვო სიტყვები:

> ᲛᲐᲡ ᲜᲣᲓᲐᲠ ᲕᲡᲢᲘᲠᲘᲗ ᲕᲘᲜᲪ ᲓᲐᲛᲐᲠᲮᲣᲚᲐ,
> ᲠᲐᲪ ᲣᲬᲧᲐᲚᲗᲐ ᲓᲠᲝᲗ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲐ,
> ᲛᲝᲕᲔᲯᲐᲚᲗ ᲬᲐᲠᲡᲣᲚ ᲓᲠᲝᲔᲑᲖᲔᲓ ᲓᲐᲠᲓᲐ...
> ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲡᲓᲘᲗᲗ ᲔᲮᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲕᲐᲠᲡᲙᲚᲐᲕᲡ,
> ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲐ ᲕᲨᲕᲗᲗ ᲛᲔᲝᲗᲮᲝᲑᲐᲓᲘ,
> ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲡᲢᲔᲗ ᲛᲗᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲡ...

რამდენათაც მშვენიერია ეს სიტყვები, იმდენათ უფრო გულსატკენია, რომ პოეტმა თვითონვე უარყო ეს,—გავიდა დრო, სული და გული წარსულს მიაპყრო და, თუმცა შვა თავისი საკუთარი მყობადი, მაგრამ ეს მყობადი ის არ გამოდგა, რაც მოსალოდნელი იყო. ამას ქვევით დავინახავთ. ახალგაზდა პოეტის სუსტსა და და გაუბედავ ნაბიჯს თან

დასდევს სიამაყე და მედიდური თავმოყვარეობა, რაც უფრო ამაღლებს მას მკითხველის თვალში. ის ყმაწვილურათ შენატრის ყვარლის მთების ზემო მხარეს.

,,სადაც ღრუბელნი ვერ ჭბედავდნენ შიშით სრბოლასა,
სადაც ისმენდით ამაყად გრიგალთ ქროლასა''.

დამოუკიდებლობა, თავისებურობა, სრული თავისუფლება და თვისი თავის გარეშე სხვა ბატონის უარისყოფა ილ. ჭავჭავაძის ნიშნობლივ მხარეს შეადგენს პირველ წლებში ის დამარცხებულიც კი ამაყია:

ბევრჯერ მამარცხეს, მაგრამ არ ვისწინ
არ მოიხრია ამაყი თავი.

მაშ რაღა უნდა იყოს გამარჯვებული? მაგრამ სამწუხაროთ ხასიათის ამგვარი საუცხოო თვისება ავტორმა შეინარჩუნა იმდრომდე, სანამ ის ცხოვრებამ არ ჩაითრია. ჩაყვა თუ არა ცხოვრებას ახალგაზდა პოეტი, იმისმა დუღილმა სრულიათ ჩანთქა, გადაახალისა და გამოვიდა სრულებით სხვა ილ. ჭავჭავაძე. თითქოს თავშივე გრძნობდა პოეტი თვისი ხასიათის სისუსტეს, თითქოს თავშივე არ ჰქონდა მას თავის თავის იმედიო, ცხოვრების ძალიან ეშინოდა:

შორს მომავლის ვარსკვლავი,
თუმც არის უხილავი,
მაგრამ, ვგრძნობ, შეხვალ დიდ ზღვას
და იქ ჩაჭდუბავ ჩემ ნავს,
და მარდად შენი წყალი
წაშლის ჩემს ურგებს კვალსა.

რასაკვირველია, უკანასკნელ სტრიქონებში გადაჭარბებული თავის დამცირებაა, მაგრამ ახალგაზრდა პოეტის შიში სრულებით ტყვილი არ გამომდგარა.

პოეტის პირველ ლექსებში ნათლათ გარკვეულ მიზანს, სამუდამოთ არჩეულ გზას მკითხველი ვერ ნახავს. ვხედავთ მხოლოთ, რომ უკმაყოფილო პოეტი, რაღასაც ეძებს, საიდღაც მიისწრაფის. თუ პირველ ხანებში მას თავის თავის იმედიც კი არა აქვს თავისი ძალღონე ვერ გამოურკვევია და ეშინია ცხოვრების, შემდეგ და შემდეგ ის რწმუნდება, რომ ,,ზეციერია'' და აქ ებადება ღრმა სურვილი, წინ წარუძღვეს ერს, მოძმეთ იყოს ჭმუნვასა და სიხარულში, მისი წყლული თვის საკუთარ წყლულათ მიიჩნიოს, მისი ტანჯვით სული დაეტანჯოს და შესძლოს მოწმინდოს ერს ტანჯვის ცრემლი. ძლიერმა სურვილმა ერთის ნახტომითდასვა ილია ჭავჭავაძე ჭეშმარიტ გზაზე და, ამ გზით რომ ევლო მას, გაცილებით მეტ ნაყოფს მოიტანდა მისი მოღვაწეობა, ვიდრე დღეს მოიტანა.

იმდროს, როდესაც ახალგაზდა პოეტი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, ყველაზე უფრო დაჩაგრული ჩვენში ყმა იყო, ერის უპირველეს წყლულის ბატონყმობა წარმოადგენდა, ერის ჭმუნვის მიზეზი იგივე ბატონ-ყმობა იყო, ერის ტანჯვის სათავე ბატონ-ყმობიდან იწყებოდა. ბატონ-ყმობა იყო უმთავრესი კითხვა, რომელსაც გვერდს ვერ აუხვევდა მაშინ ვერც ერთი ახალგაზდობა, ვისაც კი ცხოვრებაში გულგრილ მაყურებლათ ყოფნა არ უნდოდა. ილ. ჭავჭავაძემ უყოყმანოთ მიიტანა იერიში ბატონ-ყმობაზე, მაგრამ მასთან ბრძოლაში მან გამოააშკარავა ხასიათის ერთი თვისება, რომელიც შემდეგ და შემდეგ განვითარდა და რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს პოეტის ცხოვრებაში.

,,მესმის მესმის'', ,,აჩრდილი'', ,,კაკო ყაჩაღი'', გლახის ნაამბობი და ,,კაცია ადამიანი'' სრული უარყოფა და გმობაა ბატონ-ყმობისა. რუსეთის ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი მესამოცე წლებში ამხედრებული იყო ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. რადგანაც ილ. ჭავჭავაძეზე დიდი გავლენა ჰქონდა მაშინდელ რუსულ მწერლობასა და მოწინავე აზრს, რუსეთიდან ის დაბრუნდა, როგორც შეურიგებელი მტერი ბატონ-ყმობისა. ჩვენ აქ მოკლეთ დავახასიათებთ, თუ როგორ უყურებდა მაშინ ახალგაზდა პოეტი ბატონ-ყმობას. შესამოცე წლებში მას დაწერილი აქვს პატარა ლექსი ,,მესმის მესმის'', რომელიც პოეზიის მხრივ მეტათ ღარიბია, მაგრამ იმ დროის შესაფერათ, როდესაც ის იწერებოდა, მდიდარია აზრით. ამ ლექსით ვტყობილობთ, რომ ავტორს ბატონ-ყმობა მიაჩნია უსამართლო მონობათ და მისი ბორკილის დამტვრევის ხმა მისთვის სანატრელი ხმაა. რათ შეჰხარის ასე ახალგაზრდა პოეტი ბატონ-ყმობის მოსპობას? იმიტომ რომ ის გულით მტერია ყოველგვარი უსამართლობის; ის შენატრის ყოველგვარი უსამართლობის მოსპობას და ბატონ-ყმობა ხომ უსამართლობაა! ის შენატრის ადამიანთა შორის საერთო ბედნიერებას და ბატონ-ყმობა ხომ ხალხისთვის უბედურებაა! ის შენატრის ძმობას, სიყვარულს და ერთობას, ბატონ-ყმობას კი მის თვალში მტრობა' ძალმომრეობაა, დაჩაგვრაა მხოლოთ. რას გვეუბნება აჩრდილი მე-XI და XII თავი? იმას, რომ ბატონი ყმის წურბელია, მისი სისხლის მსმელი და არა მამაპატრონი. იმას, რომ.

ქვა არის ბატონის გული,
ვერ დაარბილებს მას შებრალება.

იმას, რომ

ეშაში კაცისა გრძნობას არ ხატვენ,
დედას ძუძუდან შვილსა აჭგლეჯენ,
ვინ იცის, საიდამ სად გაჭეიდიან...

იმას, რომ

უწმინდურისა ხელითა სთხრიან
დედისა გულში უკეთესს გრძნობას,
ტოდვათ უთვლიან შვილისა ტრფობას.

იმას, რომ ბატონ-ყმობა არის ცოდვა ქვეყნისა და ეს ცოდვა მხოლოთ შრომის შვილს, ყმას აწევს მძიმე უღლათ. თუ როგორი იყო განწყობილება და დამოკიდებულება ბატონსა და ყმას შორის, ეს საკმაოთ ნათლათ არის გამორკვეული კაცია ადამიანშიაც, მაგრამ პოეტის ამღვრეული გული ისე ძლიერათ არსად არ წარმოანთხევს ზიზღსა და სიძულვილს ბატონ-ყმობისას, როგორც კაკო ყაჩაღში.

ჩვენი წადილი, ჩვენი იმედი
ეოველთვის, მაშა, არის საფრთხეში
გლეხ კაცის ყმის დიტონი ბედი
ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში.

აი, როგორი აზრი' არის ავტორის მხედარი ზაქრო? მერე აქვს ამის საბუთი ახედარს? საუცხოო. მან თავის საკუთარ თავზე გამოცადა ბატონ-ყმობის სიმწვავე. ზაქროს, შეხედულებით თავადისშვილი

კარგი რა არის, ავი რა იყოს?!

საერთოთ კაკო ყაჩაღის პიროვნება მთელ პროპაგანდას წარმოადგენს ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, პროპაგანდას, სასტიკს, ძლიერს, უკომპრომისოს.

განა ამაზე უფრო პირდაპირი და ძლიერი პროპაგანდა კიდევ შეიძლებოდა! ბატონ-ყმობის კითხვაში ახალგაზრდა პოეტის სიმპატია, სული და გული ერთიანათ ყმისაკენ არის; არც ერთ თავის თხზულებაში, რომელიც ბატონ-ყმობის წინააღმდეგა აქვს ავტორს დაწერილი, მას არა აქვს დახატული სიმპატიური პირი არისტოკრატიის წრიდან, მაშინ როდესაც ყმების წრიდან არა სიმპატიურს გვიხატავს ის ფრიათ ცოტას. აიღეთ ზაქრო, კაკო, გაბრო,—ყველა ესენი ყმებიდან არიან გამოსული, მაგრამ პირველი სტრიქონიდანვე ცხადია, რომ ავტორის მთელი სიმპატია ამათკენ არის, რომ ავტორის ,,უძ-

ლიერესი ნდომა,, ოცნებათ გადაქცეული ბატონ-ყმობის დამხობაა ,,გლახის ნაამბობი'' ხომ უკანასკნელი და მასთან ძლიერი საბუთია იმისი, რომ ბატონ-ყმობა სრული უსამართლობაა და რომ ბატონსა და ყმას შორის არავითარი მეგობრობა, არავითარი ამხანაგობა და არავითარი მამაშვილური კავშირი არ მოხერხდება. დათიკო და გაბრო სიპატარავიდან ერთათ გაიზარდენ, სიკეთისა და ერთგულების მეტი დათიკოს თავისი ყმისაგან არაფერი არ უნახავს და მიუხედავათ ამისა ის ერთ ქალს, საყვარელს ქალს არ უთმობს მას, მის გულწრფელ სიყვარულს საზიზღრათ დაცინის და ფეხქვეშ ქელავს და ოდნავაც არ ყოყმანობს, რომ ერთგული ყმა სხვებთან ერთათ წინდაწინვე დაბმულ მახეში არ გაიბას და დაიღუპოს, ოღონდ თავისი პირიტყვული წადილი დაიკმაყოფილოს. დათიკოს რომ გაბრო ყვარებოდა, დათიკოს რომ გაბროს პიროვნების პატივისცემა ჰქონოდა, რასაკვირველია ამას არ ჩაიდენდა, არ გამოჰგლეჯდა მის საყვარელ არსებას, არ წაუბილწავდა მას და თვითონ გაბროსაც არ დაღუპავდა, მაგრამ დათიკო უყურებდა გაბროს მხოლოთ ისე, როგორც ყოვლის შემძლე და თვით მპყრობელი ბატონი ნივთს-ყმას, სხვა შეხედულება, სხვა საზომი მას არა ჰქონია. დათიკოსა და გაბროს შორის იყო მხოლოთ ბატონ-ყმური განწყობილება და არა მეგობრული, ამხანაგური ან ადამიანური. აი აქ არის იმის მიზეზი, თუ რათ გაიმეტა ას ადვილათ დათიკომ გაბრო და არა იმაში, რომ დათიკო ,,ქალების მუსუსი იყო და ამისთანაებში ნამუს გაქნილიცა''. რამდენათაც შეიძლებოდა, ავტორმა სხვა მხრივ დათიკო მართლაც რიგიან პირათ დახატა. მკითხველისთვის აშკარაა, რა უნდა ამით ეთქვა ავტორს: თუ კარგი ბატონები ამგვარი არიან ერთგული ყმებისათვის, გლახები რაღა უნდა იყოს; რაც იყვენ, ესეც წარმოგვიდგინა ავტორმა ლუარსაბისა და დარეჯანის სახით, იმ დარეჯანისა, რომლის აზრითაც არა თუ ყმა-გოგო შეადგენს ბატონის სრულს საკუთრებას, მისი ჩითმერდანიც კი ბატონის საკუთრგბაა!

მიუხედავათ იმისა, რომ ახალგაზრდა ილიამ ბატონ ყმობა სასტიკათ გაკიცხა და დაგმო, უარჰყო ბატონ-ყმური წყობილება და მას ბრძოლა გამოუცხადა; ილ. ჭავჭავაძე იმდენათვე ებრძოდა ბატონ-ყმობას თვით ცხოვრებაში, რამდენათაც მისი ლუარსაბი და დარეჯანი. მისი კიცხვა.—გმობა და უარყოფა ბატონ-ყმობის მხოლოთ იმის გულში სწარმოებდა და გულის საზღვრებს არ გაცილებია, თვით ცხოვრებაში არ ჩარეულა. ილ. ჭავჭავაძემ ხოლოთ თავის გულში კიცხავდა ძველ წყობილებას. მხოლოთ გულში ებრძოდა მას, მხოლოთ თავის გულში ამბობდა:

ᲕᲔᲓᲐᲠ ᲒᲐᲣᲫᲚᲔᲑᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡ,

იქ კი, საცა ეს ბრძოლა საჭირო იყო ე. ი. თვით ცხოვრებაში, ილ. ჭავჭავაძე სრულებით სდუმდა. მიუხედავათ იმისა, რომ მისი კაკო ხორცშესხმული და მასთან ძლიერი პროტესტია ყმის შეხუთული სულისა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, მიუხედავათ იმისა, რომ მისი გაბრო საუკეთესო მაგალითია ბატონ-ყმური წყობილების სისაძაგლისა, მათი გამომქანდაკებელი არ ყოფილა გამოცხადებული, აშკარა მტერი ბატონ-ყმობისა; ის იმდენათ გაფრთხილებით მალავდა თავის მტრობას, რომ მკითხველმა საზოგადოებამ ბატონ-ყმობის გადავარდნის მხოლოთ ათი და თხუთმეტ წლის შემდეგ შეიტყო პოეტის გულის ნადები! მიუხედავათ იმისა, რომ მთელი წლის განმავლობაში ილ, ჭავჭავაძეს ხელთ ეპყრა ,,საქართველოს მოამბე'', მასში ერთი უბრალო პუბლიცისტური წერილიც არ დაუბეჭდია ბატონ-ყმობის წინააღმდეგ: ,,მესმის, მესმის'', რომელიც მან 60 წელს დაწერა, გამოაქვეყნა 83 წელს, ,,გლახის ნაამბობი'' დაწერა 62 წ. და გამოაქვეყნა მხოლოთ 73 წელს. მართალია ამ თხზულების დასაწყისი დაიბეჭდა 63 წ. საქართველოს მოამბეში, მაგრამ ავტორმა მეორე ნომრიდანვე შეწყვიტა ბეჭდვა და სწორეთ ის დამალა, რაც უფრო საჭირო იყო მაშინდელი დროისათვის. ,,ნამდვილი სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან'' დაწერა 60 წელს და მთლათ გამოაცხადა მხოლოთ 79 წელს! ,,აჩრდილი'' დაწერა 60 წელს და დაბეჭდა მხოლოთ 81 წელს!

ყოველგვარ, მწერლობის დანიშნულება მხოლოთ იმაში მდგომარეობს, რომ დროის მოთხოვნილებას შეგნებაში დაეხმაროს საზოგადოებას და ამით ცხოვრების პირობათა გაუმჯობესობას ხელი შეუწყოს. ამაზე მეტის გაკეთება მწერლობას არ შეუძლია, და თუ ამაზე ნაკლები მოინდომა, ან სხვა გზას დაადგა, მაშინ ის სრულებით წყდება ცხოვრებას და ამით ყოველგვარ საზოგადო მნიშნელობას კარგავს. მართალია, ბატონ-ყმობის გადავარდნა ჩვენი საზოგადოების ხელთ არ ყოფილა და არც იმის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ყოველ მწერალს ჩვენში, რომელიც კი მხოლოთ სიმართლითა და სამართლიანობით იხელმძღვანელებდა და სხვა არავითარ მოსაზრებას არ დაუდებდა სარჩულათ თავის მოღვაწეობას შეეძლო ერთის მხრით ხალხი მოემზადებია, მეორე მხრით ბატონები და, თუ არ შეეგნებინებია მათთვის ძველი წყობილებისა და ურთიერთობის დარღვევის საჭიროება, ამ დარღვევის მეორე მხარის—აუცილებლობა მაინც დაენახვებია პირდაპირ და დაუმალავათ: ილ. ჭავჭავაძემ კი სხვა გზა აირჩია და ამით სრულებით დაუკარგა საზოგადოებრივი მნიშვნელობა თავის ძლიერ პროპაგანდასა და ბრძოლას ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. ერთი მიბრძანეთ, რა მნიშვნელობა უნდა ქონოდა გაბროს 70 წლებში და კაკოს ოთხმოც წლებში? მხოლოთ ის, რომ მკითხველს გაეგო, ვინ იყო მათი დამწერი. რა უნდა ამოეკითხა იქიდან მკითხველს? მხოლოთ ის, რომ მათი ავტორი ერთ დროს არ ყოფილა ბატონ-ყმური წყობილების მოტრფიალე, რადგანაც ბატონ-ყმობას თავის საკუთარ გულში ებრძოდა! 59 წელს ჯერ სრულებით ნორჩი პოეტი ნაღვლიანათ შეჩიოდა თავის თავს:

ᲝᲮ, ᲓᲛᲘᲠᲗᲝ ᲩᲔᲛᲝ! ᲡᲣᲚ ᲫᲘᲚᲘ, ᲫᲘᲚᲘ,
ᲠᲝᲓᲘᲡ ᲒᲕᲔᲚᲘᲠᲗᲘᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲓᲕᲘᲫᲣᲑᲐ?!...

მას კარგათ ქონდა შეგნებული, თუ რაში მდგომარეობდა ეს გაღვიძება მაშინ, მან კარგათ იცოდა, თუ როგორ და რა გზით უნდა გამოეღვიძა იმის ქვეყანას. მას ქონდა ბუნებისაგან მონიჭებული ძლიერი ნიჭი პოეტისა, სასტიკი ხმა მხილებისა და ზრახვისა, სპეტაკი აზრები და შეხედულება, ჭეშმარიტი მისწრაფება და სიმპატიური სურვილები, და მიუხედავათ ყოველივე ამისა ის მხოლოთ თავის ოთახში იბრძოდა და ოთახს გარეთ კი არავითარ ღონეს არ ხმარობდა ამ ძილის გასაფრთხობათ, ხელს არ უწყობდა საზოგადოების გამოღვიძებას, მაშინ როდესაც ეს ყველაზე უკეთ მას შეეძლო. ყოველივე ეს ცხადათ გვეუბნება, რომ მესამოცე წლებში ახალგაზდა ილ. ჭავჭავაძე კარგათ ფიქრობდა და ცუდათ მოქმედებდა. ამაზე რომ შეჩერებულიყო პოეტი, კიდევ კარგი იყო.

ფიქრი და ცუდათ მოქმედება ჯობია, მაგრამ შემდეგში კარგი ფიქრი პოეტმა გააცუდა, ცუდი მოქმედება კი უფრო გააცუდა, მაგრამ ამის შესახებ ქვევით გვექნება ლაპარაკი.

საყურადღებოა იმის გამორკვევა, თუ რა იყო ზემოთ აღნიშნული გარემოების მიზეზი, რამ აიძულა ილ. ჭავჭავაძე. თავისი სპეტაკი აზრები, გრძნობანი და მისწრაფებანი სტოლის უჯრაში დაემალა და გამოექვეყნებია მხოლოთ მაშინ, როდესაც ისინი დროის შესაფერ საზოგადოებრივ მნიშვნელობას სრულებით მოკლებული იყვენ? ამის პასუხს მისი ,,მას

აქეთ რა კი შენდამი ვცან მე სიყვარულიო გეტყვის, იტყვის ზოგიერთი მკითხველი, იტყვის იმიტომ რომ ამგვარი აზრი თვით ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში არის გავრცელებული. აღნიშნული ლექსი აი რით თავდება:

მაგრა, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოთ ის არი,
ის არის მხოლოთ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!..

აქედან მე მხოლოთ იმას ვტყობილობ, რომ თუ ილია ჭავჭავაძეს პირველ წლებში თავისი თავის გადაჭარბებებული დამცირება უყვარდა, მალე გადაჭარბებულ განდიდებას მიეჩვია, რამაც იმ ზომამდე მიიყვანა, რომ ხანში შესულმა პოეტმა თვისი თავი უკვე უცოდველ პაპათ წარმოიდგინა. ჯერ ერთი ის, რომ ჩვენი ქვეყანა მესამოცე წლებშიც არ ყოფილა მარტო ილ. ჭავჭავაძის ამარა. ვთქვათ, ჭკუითა და გამჭრიახობით ვერ ბიწვდებოდენ მას, იმის ფიქრისა და გრძნობების დაფასებასა და შეგნებას მაინც შეძლებენ. მეორე—ასეთი პირობაც რომ არ ყოფილიყო, რა საჭიროა ფიქრთა და გრძნობათა მოზიარე იქ, საცა უსამართლოებასთან ბრძოლა და ჭეშმარიტების შეგნებაა საჭირო და საცა ასეთ მებრძოლს არავითარი დიდი მსხვერპლი არ ჭირდება? ერთათ ერთი მსხვერპლი ის იქნებოდა, რომ არისტოკრატია ილ. ჭავჭავაძეს აითვალისწინებდა და სწორეთ აქ არის ძაღლის კუდი დამარხული.

დამცველს უძახიან, ეს აზრი შეჭმარიტებას სრულებით მოკლებულია ახალგაზრდა ილიას შესახებ. როგორც უკვე დავინახეთ, მესამოცე წლებში პოეტი გუწრფელი და ჭეშმარიტი მტერი იყო ბატონ-ყმობის, ხოლო თუ მისი მტრობა გვიან გამოაშკარავდა, ამისი მიზეზიც დავასახელეთ. თუ როგორ შეიცვალა პოეტის აზრი ამ კითხვის შესახებ შემდეგში, ამას ქვევით დავინახავთ.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება).

შეცდომის გასწორება.

„კვალის“ წარსული კვირის №-ში „ჟურნალ-გაზეთებიდან“ 554 გვერდზე, ბოლოდან მერვე სტრიქონში სწერია: „მხოლოთ იმდენათ რამდენათაც ეს შეეხება.., „უნდა იყოს; მხოლოთ იმდენათ რამდენათაც ეს შეეხება ერთ წოდებას“.

განცხადებანი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ვაკანსია 1 განყოფილებაში, რომელშიდაც მიიღებიან 7 და 8 წლის ყმაწვილები. დანარჩენ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიათ არ მოიპოვება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება 25 აგვისტომდის.

თხოვნასთან ერთათ წარმოდგენილ უნდა იქნეს წლოვანების, აზნაურიშვილობის და ყვავილის აცრის მოწმობები.

ყმაწვილების მიღება დანიშნულია 31 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 2 სეპტემბერს.

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲡᲐᲑᲣᲮᲒᲐᲚᲢᲔᲠᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პირობები და პროგრამები მსურველთ გაეგზავნებათ უფასოთ.

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲘ.

Ს. ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

ვერა, სლეპცოვის ქუჩა, № 13. ზემოქალაქის მახლობლათ.

ამზადებს ბავშვებს საშუალო სასწავლებლებისათვის (გიმნაზია, რეალური და კომერციული სასწავლებლები, კადეტთა კორპუსი და სხვ.). იქვე ამზადებენ მოწაფეებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ხელ-მეორეთ გამოცდა (переэкзаменовки).

სოლოლაკში, სერგიევის ქუჩაზე,
მირზოევის სახლებში № 1, გაიხსნა

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ

ᲫᲛᲐᲗᲐ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔᲔᲑᲘᲡ,

რომელიც დაიწყებს მოქმედებას აგვისტოს პირველიდან, მიიღება სხვადასხვა საქმეები ყველა ენებზედ, სტამბა შემოკკეთილ საქმეებს ასრულებს

ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲗ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔᲓ.

ამ სტამბასთან იქნება უინტერესი საწყობი საკუთარ გაღოცემათა.

ვისაც ჩვენ ფირმასთან საქმე აქვს, ან ექნება, ვთხოვთ დღეიდან მოგვმართონ თფილისის ამ ადრესით: Тифлисъ, бр Таварткиладзе.

თფილისის კერძო სამკურნალო

ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

(კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21).

თელეფონი № 274.

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ ᲘᲦᲔᲑᲔᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ.

ᲓᲘᲦᲘᲗ:

გ. ი. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

გ. გ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ—შინაგან. სამშ. ხუთშ. და შაბათობით 10—11.

ი. Ჰ. ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—კბილის სნეულებანი, 11—12.

Ჯ. Მ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ—შინაგ. და ბავშ. 11—12.

Გ Მ. ᲛᲐᲜᲡᲒᲕᲔᲢᲝᲕᲘ—შინაგანი და ნერვების, და ბავშვები სამშაბ. და პარასკ. 1—2.

Ს. Გ. ᲑᲐᲠᲡᲣᲙᲝᲕᲘ—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1.

Გ. ᲒᲠ. ᲡᲝᲑᲝᲚᲔᲕᲡᲙᲘ—ქირურგ. და ორთოპედიული ორშ., ოთხშ. და პარასკ. 1—3.

Გ. Მ. ᲐᲛᲑᲐᲠᲓᲐᲜᲝᲙᲘ—სიფილისისა, კანისა და საშარდე 1—3.

ᲡᲐᲦᲐᲨᲝᲗᲘ:

ი. ნ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—დედათა სნეულებანი, 5—6.

Მ Გ. ᲘᲐᲜᲩᲔᲕᲩᲙᲘ—ყურის, ყელის და ცხვირის 5—6, კვირაობით 12—1.

Ს. Გ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ—შინაგანი და ბავშვებისა, მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6.

ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ:

Გ Მ ᲛᲐᲜᲡᲒᲕᲔᲢᲝᲕᲘ—შინ., ნერვ. და ბავშ. 9—10.

Გ. Გ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ—შინაგან ავათმყოფ., 10—12.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მორიგებით.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 августа 1902 г.

სტამბა ძმ. თავართქილაძეებისა. სერგიევის ქუჩა, № 1.